კვირეული „ვერსია“ ერთი

ვერსია

№7 (1597) 23 თებერვალი — 1 მარტი ოთხშაბათი 2022 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

ვახტანგ კალოიანი: „შემოდგომისთვის პანდემია მნიშვნელოვნად შემსუბუქდება“

„იმ ტემპით, როგორც დღეს ვაქცინაცია მიდის, პანდემიის დასრულებამდე, დაახლოებით, 20 000 ადამიანს დავკარგავთ“

ვლადიმერ ვლადიმეროვიჩის „ველიკოძერჟავული“ ვნებები

რატომ ამჯობინა ოპოზიციამ შალვა ნათელაშვილს ბადრი ჯაფარიძე

ვახტანგ ძაბირაძე: „ოპოზიცია დაშლილი, დაქსაქსული და ჩამოუყალიბებელია“

125 დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

რა ელის საქართველოს, თუ რუსეთი უკრაინაში შეიჭრება

გია ხუხაშვილი: „საფრთხე გვემუქრება!“

რუსეთ–უკრაინის მოსალოდნელი ომი ნარკოტიკების მოძრაობას უკონტროლოს გახდის

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნარკოდანაშაულისთვის ოთხი პირი დააკავა – ამოღებულია სხვადასხვა სახის განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკი

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, ინტენსიურ რეჟიმში ჩატარებული კომპლექსური ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ნარკოდანაშაულისთვის ოთხი პირი დააკავა. ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტისა და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის, ასევე, საჰაერო ტვირთების კონტროლის უწყებათაშორისი დანაყოფის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქალაქ ბათუმში, უცხო ქვეყნის მოქალაქე – 1993 წელს დაბადებული ხ.ლ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისთვის დააკავეს. მისი პირადი ჩხრეკისას ამოღებულია 700 გრამამდე ნარკოტიკული საშუალება „მეტამფეტამინი“.

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ნარკოტიკების ინტერნეტით უკანონო გასაღების ფაქტები აღკვეთეს, ორი პირი დააკავეს და შემდგომი რეალიზაციის მიზნით, სხვადასხვა ადგილზე განთავსებული ნარკოტიკები ამოიღეს. დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღების მცდელობისთვის დაკავებულები არიან უცხო ქვეყნის მოქალაქეები – 1991 წელს დაბადებული ა. ბ. და 2000 წელს დაბადებული ა. შ.

სამართალდამცველებმა ბრალდებული ა.ბ.-ის მიერ, შემდგომი გასაღების მიზნით, სხვადასხვა ადგილზე განთავსებული 400 გრამი ნარკოტიკული საშუალება „მეფედრონი“ და 400 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ალფა-პვპ“ ნივთმტკიცების სახით ამოიღეს. მისი დროებითი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას კი ამოღებულია 10 გრამი ნარკოტიკული საშუალება.

რაც შეეხება ა.შ.-ს, პოლიციამ მისი დროებით საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, 20 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება „კოკაინი“ ამოიღო. სამართალდამცველებმა ასევე ნივთმტკიცებად ამოიღეს ა.შ.-ის მიერ, შემდგომი გასაღების მიზნით, სხვადასხვა ადგილზე განთავსებული 16 შეკვრა ნარკოტიკული საშუალება „კოკაინი“.

პოლიციამ ასევე განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, თბილისში დააკავა 1992 წელს დაბადებული ბ.ბ. სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი და საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, 50 გრამი ნარკოტიკული საშუალება „მეტადონი“ ამოიღეს.

დანაშაულები 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების მცდელობის ფაქტზე გამოძიება მიმდინარეობს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ასევე, 19-260-ე მუხლის პირველი, მე-4 და მე-7 ნაწილებით.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ დიდი ოდენობით თანხის გამოძალვის ფაქტი აღკვეთა – დაკავებულია ექვსი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, გენერალურ პროკურატურასთან ერთად ჩატარებული აქტიური კომპლექსური საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, თბილისში, ექვსი პირი დააკავეს, ორ პირს კი ბრალდება დაუსწრებლად წარუდგინეს.

მათ ბრალად ედებათ თავისუფლების უკანონო აღკვეთა, გამოძალვა, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება და დანაშაულის შეუტყობინებლობა.

გამოძალვისა და თავისუფლების უკანონო აღკვეთის ბრალდებით დაკავებულები არიან: 1987 წელს დაბადებული ა.მ. და 1978 წელს დაბადებული მ.მ.; გამოძალვის, თავისუფლების უკანონო აღკვეთის, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო დაუფლების ბრალდებით დაკავებულები არიან: 1970 წელს დაბადებული კ.ნ. და 1972 წელს დაბადებული გ.ლ; დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით დაკავებულები არიან: 1977 წელს დაბადებული გ.ჭ, 1999 წელს დაბადებული ა.ნ., ხოლო ორ პირს – 1969 წელს დაბადებულ რ.ჭ.-სა და 1974 წელს დაბადებულ ს.ჭ.-ს, ამავე დანაშაულისთვის ბრალი დაუსწრებლად წარედგინათ.

დანაშაულები 4-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ არსებული ფინანსური დავის საფუძველზე, დიდი ოდენობით ქონების გამოძალვის გაადვილების მიზნით, კ.ნ.-მ, გ.ლ.-მ, ა.მ.-მ და მ.მ.-მა, ჯანმრთელობის დაზიანება მიაყენეს ვ.ტ.-ს და ძალადობის გამოყენების მუქარით, მას უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება.

გამომძალველები ვ.ტ.-ს აყენებდნენ სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას, 51 000 ლარს მოტანას სთხოვდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, კვლავ ძალადობის გამოყენებით ემუქრებოდნენ, რის გამოც მან თანხის გადახდაზე თანხმობა განაცხადა. დაზარალებული პირი ბრალდებულებმა მეორე დღეს, თანხის გადახდის პირობით გააათავისუფლეს.

ა.ნ., გ.ჭ., რ.ჭ. და ს.ჭ. შეესწრნენ ვ.ტ.-ის მიმართ განხორციელებულ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების ჩადენას, თუმცა აღნიშნულის თაობაზე პოლიციას არ შეატყობინეს.

პოლიციამ დაკავებულების საცხოვრებელი სახლების ჩხრეკისას, მობილური ტელეფონები და უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძალვის, თავისუფლების უკანონო აღკვეთის, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო დაუფლების, ასევე, დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტებზე, გამოძიება საქართველოს სსკ-ის 181-ე, 237-ე, 143-ე და 376-ე მუხლებით მიმდინარეობს.

პოლიციამ თბილისსა და რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები ამოიღო – დაკავებულია რვა პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისში, მცხეთა-მთიანეთსა და შიდა ქართლში, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარებისთვის რვა პირი დააკავეს. სამართალდამცველების მიერ ნივთმტკიცებად ამოღებულია უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა.

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1975 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გ.ი. დააკავეს. დაკავებულის ბინის ჩხრეკისას, პოლიციამ „ნაგანის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი და 14 ვაზნა ამოიღო. საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვისთვის, 1984 წელს დაბადებული, პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი ს.ო. დააკავეს. სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, „ტტ“-ს სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, ვაზნები და 5 მჭიდი ნივთმტკიცებად ამოიღეს. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, 1995 წელს დაბადებული, წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის ნასამართლევი ა.მ., ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით, თბილისში დააკავეს. პოლიციამ, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, დაკავებულის ავტომობილის ჩხრეკისას, „მაკაროვის“ სისტემის ცეცხლსასროლი პისტოლეტი და 9 ვაზნა ამოიღო.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ანალოგიური დანაშაულისთვის, 1985 წელს დაბადებული ა.ჯ. დააკავეს. პოლიციამ მის საცხოვრებელ ბინაში ჩატარებული ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღო პისტოლეტი, რევოლვერი და 25 საბრძოლო ვაზნა.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ასევე, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით, 1978 წელს დაბადებული რ.კ. და 1969 წელს დაბადებული კ.კ. დააკავეს. სამართალდამცველებმა რ.კ.-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, ერთი ცალი „სმიტ ვენსონის“ მოდელის რევორველი და 23 ცალი საბრძოლო ვაზნა, ხოლო კ.კ.-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას – „ჩეზეს“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი და მჭიდი ნივთმტკიცებად ამოიღეს. შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის კასპის რაიონული სამმართველოსა და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1984 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ა.კ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავეს. სამართალდამცველებმა, ბრალდებულის მართვის ქვეშ არსებული ავტომობილის ჩხრეკის შედეგად, „ნაგანის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი და 7 საბრძოლო ვაზნა ნივთმტკიცების სახით ამოიღეს.

ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შენახვის ფაქტზე, მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ოპერატიულად ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების ფარგლებში, საგურამოში, 1988 წელს დაბადებული კ.ლ. დააკავეს. დაკავებულის ბინის ჩხრეკისას, პოლიციამ ნივთმტკიცებად ამოიღო: პისტოლეტი მჭიდით, 2 ვაზნა და მცირეკალიბრიანი შაშხანის 10 ვაზნა. დანაშაულები 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

ვლადიმერ ვლადიმეროვიჩის „ველიკოძერჟავული“ ვნებები

ნინო დოლიძე

აქამდე იყო 08.08.08, ახლა არის 22.02.22 ანუ მართალია, ღია ომი ჯერ არ დაუწყია, მაგრამ ვლადიმერ ვლადიმერის ძემ დონეცკისა და ლუგანსკის რეგიონების დამოუკიდებლობა აღიარა. ყველა ყაიდის ექსპერტი თანხმდება, რომ ამ აღიარებით, რუსეთის პრეზიდენტმა ცივილურ მსოფლიოს ხელთათმანი ესროლა და დუელში გამოიწვია. საერთოდ, პუტინის გამოსვლა ერთგვარად პოლიტპარანოიით შეპყრობილი ადამიანის მონოლოგს ჰგავდა, ადამიანისა, რომელიც წარსულში ცხოვრობს. კერძოდ, პუტინმა თქვა, რომ უკრაინა ლენინმა შექმნა, ესე იგი, ამით ხაზი გაუსვა, რომ უკრაინელი ხალხი, როგორც ერი, არ არსებობს. ასეა თუ ისე, ვოვა თავისას „ისწორებს“, თუმცა ისიც ფაქტია, რომ ეს „გასწორება“ მსოფლიოს, შესაძლოა, ძვირი დაუჯდეს. ყოველ შემთხვევაში, პლანეტა ახალი ცივი ომის საშიშროების წინაშე დგას.

რას აკეთებს ამ დროს დასავლეთი? – ამ ეტაპზე, მხოლოდ შეშფოთებაა სახეზე. აი, მაგალითად, აშშ-ს პრეზიდენტმა პუტინის პროვოკაციულ გადაწყვეტილებას სუვერენულ სახელმწიფოზე თავდასხმა უწოდა.

„ყველა ამ მოწოდებაში პრეზიდენტმა მკაცრად დაგმო პრეზიდენტ პუტინის გადაწყვეტილება ე.წ დონეცკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკების აღიარების შესახებ. ჩვენ გავაგრძელებთ კონსულტაციებს ჩვენს მოკავშირეებთან და პარტნიორებთან, როგორც საკითხის დიპლომატიური გადაწყვეტის, ასევე, იმ შედეგების შესახებ, რომლებსაც რუსეთს დავაკისრებთ, თუ ის შემდგომ შეიჭრება უკრაინაში.

რუსეთი აგრძელებს ამ კრიზისის ესკალაციას, რომელიც, პირველ რიგში, მან შექმნა. ჩვენ გავაგრძელებთ დიპლომატიური კურსის გატარებას ტანკების გაშვებამდე, მაგრამ ჩვენ არ გვაქვს ილუზიები იმის შესახებ, თუ რა იქნება მომავალში. ჩვენ მზად ვართ, გადამწყვეტად ვუპასუხოთ, როცა ეს მოხდება“, – ნათქვამია თეთრი სახლის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ამასთან, თეთრი სახლის სპიკერი ამბობს, აშშ აპირებს, დამატებითი ნაბიჯების გადადგმას. კერძოდ, ცნობილი ხდება, რომ აშშ-ის პრეზიდენტი, ჯო ბაიდენი მალე გამოსცემს აღმასრულებელ განკარგულებას, რომელიც უკრაინის დონეცკისა და ლუგანსკის რეგიონებში აკრძალავს ახალ ინვესტიციებსა და ვაჭრობას აშშ-ის მოქალაქეებისთვის. გარდა ამისა, ამავე განკარგულებით, სანქციები დაუწესდება პირებს, რომლებიც აღნიშნულ ტერიტორიაზე საქმის წარმოებას აპირებენ.

ერთი სიტყვით, პუტინს ლუგანსკისა და დონეცკის დამოუკიდებლობის აღიარება, შესაძლოა, ძვირი დაუჯდეს.

სხვათა შორის, 14 წლის წინაც, როცა კრემლი საქართველოს დაესხა თავს, არსებობდა მოლოდინი, რომ დასავლეთი პუტინს „მიჯირყვნიდა“. მართალია, ხუთი ქვეყნის პრეზიდენტი თბილისში ჩამოვიდა და სოლიდარობა გამოგვიცხადა, მაგრამ ვოვამ კოლეგები, უხეშად რომ ვთქვათ, ფეხებზე დაიკიდა და თავისი „გაისწორა“. ყოველ შემთხვევაში, მსოფლიოს აღშფოთება-შეშფოთების მიუხედავად, დღეს თბილისიდან რამდენიმე ათეულ კილომეტრში, ოკუპანტები დგანან, ბოლო წლებში კი ე.წ. მცოცავი ოკუპაციის მომსწრენი ვართ.

სხვათა შორის, ზოგს აქვს ეჭვი, რომ იმ შემთხვევაში, თუ პუტინი მხოლოდ ზემოხსენებული რეგიონების აღიარებით არ შემოიფარგლება და უკრაინასთან ფართომასშტაბიან ომს დაიწყებს, ყველაფერი ეს, პირდაპირ თუ ირიბად, საქართველოსაც შეეხება. ზოგი კი უფრო შორსაც მიდის და ეჭვობს, რომ კრემლმა, შესაძლოა, ჩვენი ქვეყნის ხელმეორე ოკუპაცია გადაწყვიტოს. ამაში კი ხელი, შესაძლოა, საქართველოს იმ მოქალაქეებმაც შეუწყონ, რომლებიც აქამდეც პუტინისტები იყვნენ, ახლა კი ვლადიმერ ვლადიმერის ძეს, პრაქტიკულად, პოლიტიკურ ქორწინებას სთავაზობენ ანუ ზუსტად იმ დღეს, როცა პუტინმა უკრაინის ზემოხსენებული ტერიტორიები დამოუკიდებლად სცნო, ქართველმა პუტინისტებმა კრემლში უსტარი აფრინეს, სადაც სიტყვა-სიტყვით წერია:

„თქვენო აღმატებულებავ, ბატონო პრეზიდენტო! ჩვენ სინანულით უნდა გაუწყოთ, რომ საქართველო არ არის თავისუფალი ქვეყანა, რასაც მოწმობს მაღალი თანამდებობის პირების განცხადებები იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ერევა საქართველოს შიდა საქმეებში. საქართველოს მთავრობა, ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ, უთმობს ტერიტორიას ნატო-ს სამხედრო წვრთნებს, რაც სხვა არაფერია, თუ არა რუსეთის გამოწვევა.

ჩვენ, ასევე, სინანულით უნდა გაუწყოთ, რომ საქართველო, უკვე დიდი ხანია, ჩართულია საერთაშორისო ორგანიზაციების ქსელში, რომლებიც ცრუ გამოკითხვებით ხატავენ სურათს, თითქოს, ქვეყნის უმრავლესობა ნატო-ში გაწევრიანებას უჭერს მხარს. ბოლო ათი წლის განმავლობაში, ყველაზე მასშტაბური სოციოლოგიური გამოკითხვა 2020 წელს, „პატრიოტთა ალიანსმა“ ჩაატარა, რომელმაც 1.2 მილიონი ადამიანი გამოჰკითხა, 900 ათასთან კი აუდიო ინტერვიუ ჩაწერა. ამ კვლევის შედეგებმა აჩვენა: მოსახლეობის 69.4% სამხედრო ნეიტრალიტეტის გამოცხადების მომხრეა, 75.8% კი რუსეთთან დიალოგის დაწყებას ემხრობა“.

სხვათა შორის, ეს არაა პირველი შემთხვევა, როცა ქართველი პუტინისტები ვოვას დახმარებას სთხოვენ. კერძოდ, რუსეთის პრეზიდენტს ღია წერილი 2021 წლის 2 აგვისტოსაც გაუგზავნეს და წერილის სულისკვეთებაც მაშინ ანალოგიური იყო.

ერთი სიტყვით, პუტინის მიერ ლუგანსკისა და დონეცკის რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარებით, მარტო ქართველი რუსეთუმეები კი არა, კრემლისგან ოკუპირებული ცხინვალის ადმინისტრაციაც კმაყოფილია – როგორც კი ვოვას გადაწყვეტილება ცნობილი გახდა, რუსულმა მედიამ ცხინვალში გადაღებული ვიდეო გაავრცელა, რომლის თანახმადაც, სეპარატისტული რეგიონის აქტივისტები მანქანებით ცხინვალის ქუჩებში დარბიან და ოვაციებს ვერ მალავენ.

ასე და ამგვარად: მსოფლიოს ახალი ისტორია ჩვენს თვალწინ იწერება და ამ ისტორიის ნაწილი საქართველოცაა, თანაც სცენარი, დაახლოებით, ისეთივეა, როგორც 2008 წლის აგვისტოსა და უფრო ადრეც, 90-იანი წლების დასაწყისში იყო ანუ იგივე აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომებით, რუსეთმა იმდროინდელი საქართველო წელში გატეხა და აგერ, ლამის 30 წელია, ფეხზე ველარ დავდექით.

ისე, კრემლის მმართველი პუტინი რომ არ გამხდარიყო, შესაძლოა, ყველაფერი სხვაგვარად ყოფილიყო, მაგრამ პუტინი ჭეშმარიტად „ველიკოდერჟავული ცხოველია“, რომელიც დღემდე სსრკ-ს მინისტრის და ამბობს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა დიდი გეოპოლიტიკური შეცდომა იყო.

ვლადიმერ ვლადიმერის ძე, ნათლად ჩანს, რომ სსრკ-ს მოდერნიზაციას ცდილობს და იმ შემთხვევაში, თუ მსოფლიო შეშფოთება-აღშფოთებას არ გასცდება, ვოვამ, შესაძლოა, ოცნება აიხდინოს კიდეც, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ აშშ-მ თუ სხვა ძლევამოსილმა სახელმწიფოებმა ფარ-ხმალი დაყარონ და რუსეთის ვასლობა მოისურვონ.

ასეა თუ ისე, დიდი პოლიტიკური თამაშები როგორც უნდა დამთავრდეს, რუსეთის რაობას ვერაფერი შეცვლის და ის ისევ ოკუპანტი იქნება!

თათია გოჩაძე
598-43-50-34

ვახტანგ კალოიანი: „შემოდგომისთვის პანდემია მნიშვნელოვნად შემსუბუქდება“

„იმ ტემპით, როგორც დღეს ვაქცინაცია მიდის, პანდემიის დასრულებამდე, დაახლოებით, 20 000 ადამიანს დავკარგავთ“

ბოლო მონაცემებით, საქართველოში კორონავირუსით ინფიცირებულთა რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა, მაგრამ ამის მიუხედავად, ალბათ, ძნელად თუ მოიძებნება ადამიანი, ვინც კორონავირუსის ახალი შტამი – „ომიკრონი“ არ გადაიტანა და ამიტომაც მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ასეთი სწრაფი გავრცელების გამო, საზოგადოება იმუნიტეტს შეიძენს და პანდემიის მეექვსე ტალღა მარტში დასრულდება. ევროპის წამყვანი ქვეყნები პანდემიურ შეზღუდვებს ერთმანეთის მიყოლებით აუქმებენ და ამსუბუქებენ, მაგრამ აუცილებლად გასათვალისწინებელია ის ასპექტი, რომ იმ ქვეყნებში, საზოგადოების უდიდესი ნაწილი აცრილია, საქართველოში კი ვაქცინაცია, პირდაპირი მნიშვნელობით, კუს ნაბიჯებით ვითარდება... როდის დასრულდება პანდემია და რა უნდა ვიცოდეთ პოსტკოვიდური სინდრომის შესახებ? – „ვერსია“ ვახტანგ კალოიანს ესაუბრა:

– საპროგნოზო სქემებით ვვარაუდობდით, რომ თებერვლის მეორე ნახევრიდან შემცირდებოდა ინფიცირებულთა რაოდენობა. ჯერჯერობით, არც მძიმე პაციენტთა რიცხვი შემცირდება და, ალბათ, არც – გარდაცვლილთა, თუმცა დროთა განმავლობაში, ესეც დაიკლებს. ინფიცირებულთა რაოდენობა კი, სავარაუდოდ, მარტის შუა რიცხვებისთვის უკვე დასტაბილურდება.

– „ომიკრონის“ შემდეგ ტალღას როდისთვის უნდა ველოდოთ?

– ჩვენ, როგორც ძალიან ცუდად აცრილი საზოგადოება, საკმაოდ მაღალი რისკის ქვეშ ვართ ნებისმიერ დროს და თუ გავითვალისწინებთ ამ ვირუსის ბიოლოგიას, არის შანსი, რომ რამდენიმე კვირაში, ინფიცირებულთა გარკვეული ზრდა ისევ დაიწყოს.

– რაც შეეხება ვაქცინაციას, ამ მხრივ საქართველოში, როგორც ჩანს, პროგრესი კი არა, რეგრესი უფრო შეინიშნება...

– დიახ, ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რომ პოპულისტური გადაწყვეტილებები მიიღოს და ვაქცინაციის პროცესს თავიდან ვაქცინების დეფიციტით უკეთებდა ტორპედირებას, შემდეგ კი – ცუდი საინფორმაციო კამპანიით. ამას ემატებიან აგრესიული ანტივაქსერული ჯგუფები, რომლებიც ძალიან ორგანიზებულად მუშაობენ.

აქვე უნდა გამოვყოთ ის ადამიანები, რომლებსაც რეალური კითხვები და ობიექტური შიში აქვთ ვაქცინებთან დაკავშირებით, ისინიც კი ვერ იღებენ ადეკვატურ პასუხს. ასე რომ, ყველაფერი ეს, ერთად გვაძლევს იმ შედეგს, რაც გვაქვს.

– ბატონო ვახო, კითხვები ბოლო დროს იმიტომ ჩნდება, რომ ვრცელდება ინფორმაცია, არსებული ვაქცინები „ომიკრონის“ შტამზე ეფექტურად ვერ მოქმედებსო... რას იტყვით ამის შესახებ?

– ციფრები საწინააღმდეგოს ამტკიცებენ. არსებული ვაქცინები ძალიან კარგად მოქმედებენ სიკვდილის, მძიმე მიმდინარეობის, საავადმყოფოში მოხვედრისა და ასევე, ინფიცირების წინააღმდეგაც.

უბრალოდ, აგრესიული სიცრუის კამპანია – „რა აზრი აქვს აცრას, მაინც ავადდებიან და კვდებიან აცრილებიც“ – მტკნარი სიცრუეა და სამწუხაროდ, ამას მხოლოდ რამდენიმე კოლეგა უპირისპირდება ციფრებით.

ცდილობენ, ინფორმაცია მიაწოდონ საზოგადოებას, თორემ ხელისუფლება ამის ორგანიზებულ საინფორმაციო კამპანიას, სამწუხაროდ, არ ეწევა.

– ევროპის უდიდესი ქვეყნები, ერთი-მეორეს მიყოლებით, აუქმებენ პანდემიურ შეზღუდვებს და საინტერესოა, რატომ?

– ეს ხდება იმაზე დაყრდნობით, რომ მათ ჰყავთ საკმაოდ კარგად აცრილი პოპულაცია. ეს ქვეყნები გადაწყვეტილებას იღებენ ციფრების მიხედვით. ნახეთ, ისრაელის ციფრები – ათეულობით ათასი ინფიცირებული და მხოლოდ რამდენიმე ათეულია გარდაცვლილი, ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებელიც საკმაოდ დაბალია.

იგივე ხდება დიდ ბრიტანეთსა და გერმანიაში. მოკლედ, ყველა კარგად აცრილი ქვეყანა ახერხებს რეგულაციების მოხსნას. აქვე, ერთი, ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი – აცრით თუ აცრის გარეშე, ოდესმე, აუცილებლად დასრულდება პანდემია, უბრალოდ, საუბარი იმაზეა, ამაში ჩვენ რა ფასს გადავიხდით.

დღეს, 16 000 ადამიანია გარდაცვლილი და სამწუხაროდ, იმ ტემპით, როგორც მიდის ვაქცინაცია, დაახლოებით, 20 000 ადამიანს დავკარგავთ პანდემიის დასრულებამდე, სანამ ეს გახდება არაპანდემიური პრობლემის მქონე დაავადება.

– პანდემიის დასრულებას როდის უნდა ველოდოთ? შეიძლება, ზუსტი თარიღის დასახელება რთულია, მაგრამ გარკვეული მეცნიერული გათვლა ხომ უნდა არსებობდეს, მონაცემებზე დაყრდნობით?

– დაახლოებით, შემოდგომისთვის, მნიშვნელოვანი შემსუბუქება უნდა იყოს, პანდემიის თვალსაზრისით, მსოფლიოში და ჩვენთანაც. გავიმეორებ, ეს დამთავრდება აუცილებლად, მაგრამ საუბარი იმაზეა, თუ რამდენ ადამიანს დავკარგავთ.

– გასაგებია, მაგრამ ახალ-ახალი შტამები რომ ჩნდება, ეს გასათვალისწინებელი არაა?

– ჯერჯერობით, ახალი შტამები პრობლემას არ ქმნიან, თუმცა ეს ყოველთვის უნდა იყოს დაკვირვების შედეგი, რასაც აკეთებს ჯანმო და წამყვანი ქვეყნების ლაბორატორიები. მუდმივად აკვირდებიან შეფოთების პოტენციალის შტამებს, ეს მუდმივად გაკონტროლდება, თუმცა, ჯერჯერობით, არსებული დინამიკა ლოგიკურია და იმედია, ყველაფერი მშვიდად დასრულდება, უბრალოდ, ჩვენ დავრჩებით ამდენ დაღუპულ ადამიანთან ერთად.

– ბატონო ვახო, რამდენად სახიფათოა პოსტკოვიდური სინდრომი და რა უნდა იცოდეს საზოგადოებამ ამის შესახებ?

– პოსტკოვიდი რამდენიმე ფაზად შეგვიძლია დავყოთ. ადამიანები, რომლებმაც გადაიტანეს კოვიდი, მაგრამ დარჩათ ფილტვების მძიმე დაზიანება, რაც აიძულებთ, მუდმივად საავადმყოფოში იყვნენ; ადამიანები, რომელთაც დაემართათ მიოკარდიტი ანუ ის ადამიანები, რომელთაც საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის საკმაოდ მძიმე შეზღუდვა აქვთ. ეს ძალიან დიდი დატვირთვა იქნება ჯანდაცვის სისტემისთვის.

არის მეორე ჯგუფი, რომელიც შედარებით მსუბუქ სიმპტომატიკას ტოვებს, მათ შორისაა ნევროლოგიური, ფსიქოლოგიური პრობლემები. ასევე, არის კვლევები, რომლებიც აჩვენებს, რომ ბავშვთა ასაკში გადატანილი კოვიდი კავშირშია დიაბეტის განვითარების მაღალ რისკთან.

ასევე, ბოლო კვლევების მიხედვით, კოვიდგადატანილებში ინფარქტის, ინსულტისა და იშემიური დაავადებების რისკი იზრდება. შესაბამისად, ამ პრობლემებს მუდმივი ყურადღება სჭირდება, სხვადასხვა დონეზე.

თათია გოჩაძე, 598-43-50-34

2 აპრილს, საქართველოს ორ დიდ ქალაქში, შუალედური არჩევნები გაიმართება. რუსთავის მოსახლეობა პარლამენტის, ბათუმის კი – საკრებულოს მაჟორიტარს აირჩევს. შეგახსენებთ, პარლამენტი მაჟორიტარმა ნინო ლაცაბიძემ მას შემდეგ დატოვა, რაც რუსთავის მერად აირჩიეს, ბათუმის საკრებულოს მაჟორიტარი წევრი, ჯემალ ფუტკარაძე კი გარდაიცვალა. „ქართულმა ოცნებამ“ შუალედური არჩევნებისთვის კანდიდატები უკვე წარადგინა. პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი რუსთავი-გარდაბნის საარჩევნო ოლქში, ირაკლი შატაკიშვილი იქნება, ხოლო ბათუმის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი გონიო-კვარიათის მაჟორიტარულ ოლქში – რამაზ ჯინჭარაძე. რუსთავში სახელისუფლებო კანდიდატს მეტოქეობას „ლელოს“ ერთ-ერთი ლიდერი, ბადრი ჯაფარიძე გაუწევს, რომელსაც სადეპუტატო მანდატი პარლამენტმა სასამართლოს გადაწყვეტილების გამო შეუჩერა. ჯაფარიძეს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მხარს უჭერს და ჯერჯერობით, დანარჩენი ოპოზიციიდან სხვა კანდიდატი არ სახელდება. აქვს თუ არა გამარჯვების შანსი ოპოზიციის მიერ დასახელებულ კანდიდატს, რამდენად მნიშვნელოვანია ბადრი ჯაფარიძის ირგვლივ სრული ოპოზიციური სპექტრის გაერთიანება და რატომ არ დასახელდა რუსთავში, მაგალითად, შალვა ნათელაშვილის კანდიდატურა, რომელმაც ჯაფარიძესთან ერთად, ასევე, დაკარგა სადეპუტატო მანდატი? – „ვერსია“ ანალიტიკოს ვახტანგ ძაბირაძეს ესაუბრა:

რატომ ამჯობინა ოპოზიციამ შალვა ნათელაშვილს ბადრი ჯაფარიძე

ვახტანგ ძაბირაძე: „ოპოზიცია დაშლილი, დაქსაქსული და ჩამოუყალიბებელია“

– შუალედური არჩევნები ყოველთვის ამომრჩევლის სიმცირით გამოირჩევა, ამიტომ იშვიათი გამონაკლისის გარდა, გარკვეული პრიორიტეტები ხელისუფლებას აქვს ხოლმე. ოპოზიცია რომ ერთი კანდიდატით იქნება წარდგენილი, თითქოს, სწორი გადაწყვეტილებაა, მაგრამ არის მეორე მომენტიც – „ქართული ოცნება“ ყველაფერს გააკეთებს, რათა ეს არჩევნები არ წააგოს. ეს უბრალო არჩევნები კი არა, არამედ, ორიენტირი იქნება. „ოცნების“ დამარცხების შემთხვევაში, საკმაოდ შეირყევა მისი რეიტინგი და იმიჯიც, მაგრამ ოპოზიციასაც აუცილებლად სჭირდება გამარჯვება. ნოემბრიდან დღემდე, გარდა იმისა, რომ ოპოზიციამ მცდარი სტრატეგია აირჩია, სულ დამარცხების რეჟიმშია. ბოლო არჩევნებში, გარკვეული წარმატებები ჰქონდა ოპოზიციას, მაგრამ რუსთავსა და ბათუმში, საკმაოდ მძიმე ბრძოლა იქნება. ბადრი ჯაფარიძის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ ვფიქრობ, ოპიზიციამ და ჯაფარიძემ ეს გადაწყვეტილება ემოციურ ტალღაზე მიიღეს. სჯობდა, უფრო დეტალურად გაეანალიზებინათ, თუ რას წარმოადგენს რუსთავის ოლქი – გარდაბანში არაქართული მოსახლეობაცაა, რაც ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს და ეთნიკური უმცირესობებიც, როგორც წესი, ხელისუფლების მხარდამჭერნი არიან. აი, ეს ვითარებაა შექმნილი და, ალბათ, მძიმე დაპირისპირება იქნება ყველა იმ ნეგატივით, რაც ქართულ არჩევნებს ახასიათებს ხოლმე.

– რამდენად მნიშვნელოვანია, რომ სრულად ოპოზიციურმა სპექტრმა დაუჭიროს მხარი ბადრი ჯაფარიძეს? აქ, საგულისხმოა შალვა ნათელაშვილის ფაქტორიც – მან რომ დააყენოს რუსთავში საკუთარი კანდიდატურა, ამ შემთხვევაში, პროცესები როგორ განვითარდება?

– შალვა ნათელაშვილს მძიმე მდგომარეობა აქვს, რეიტინგის მხრივ. თუ ოპოზიციას ექნებოდა არჩევანი ჯაფარიძესა და ნათელაშვილს შორის, ამ ორი კანდიდატურიდან უპირატესობა ექნებოდა ჯაფარიძეს.

– რატომ? ბანკირს უფრო აირჩევდა რუსთავის მოსახლეობა, თუ ნათელაშვილს, რომელიც მუდმივად სოციალურ პრობლემებზე საუბრობს?

– უკვე მეოთხედი საუკუნეა, შალვა ნათელაშვილი ქართულ პოლიტიკაშია და 2002 წლის ადგილობრივ არჩევნებში, ყველაზე წარმატებული საარჩევნო კამპანია ჰქონდა. მას შემდეგ, ნათელაშვილისა და მისი პარტიის რეიტინგი მუდმივად იკლებდა. მიუხედავად იმისა, რომ სოციალურ პრობლემებზე საუბრობს, დღეს, რეიტინგული ფიგურა აღარაა. ადგილობრივ არჩევნებში, ამ პარტიამ 1% აიღო, თუ არ ვცდები...

– თუ რეიტინგზე ვსაუბრობთ, გასათვალისწინებელია „ლელოს“ ფინანსური შესაძლებლობებიც და ამის კვალობაზე, ამ პარტიამ არცთუ მაღალი შედეგი მიიღო არჩევნებში...

– დიახ, შეიძლება, „ლელომ“ ბევრი დახარჯა, მაგრამ ახლა, რა, ნაკლებს დახარჯავს? მოდით, ასე ვთქვათ – შესაძლოა, ნათელაშვილს მხარდამჭერი უფრო გულწრფელია, მაგრამ რაოდენობრივად გაცილებით ნაკლებია, რაც დადასტურდა წინა არჩევნებზე. ამიტომ, თუ არჩევანზე მიდგებოდა საქმე, ჯაფარიძეზე გაკეთდებოდა აქცენტი. ამასთან, რამდენადაც ვიცი, ნათელაშვილმა მანდატი რომ დაკარგა, დანარჩენ ოპოზიციასაც მოუწოდა, დაეტოვებინათ პარლამენტი და გადავიდნენ ბოიკოტის რეჟიმში. აი, ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ნათელაშვილის კანდიდატურის დასახელება რუსთავში შედეგს არ მოიტანს, ჯაფარიძე უფრო მომგებიანია, ამ მხრივ. მესმის, „ბანკირის“ თემა საკმაოდ იწვნიეს, თუმცა მხოლოდ ეს არ ყოფილა „ლელოს“ რეიტინგის დაცემის მიზეზი, მიუხედავად ამისა, ჯაფარიძე უკეთესი კანდიდატურაა, ვიდრე ნათელაშვილი. ვიმეორებ, თუ „ქართულ ოცნებას“ სჭირდება გამარჯვება, ასევეა ოპიზიციაც, რათა ეს მარცხიანი პროცესი როგორმე დაასრულოს. ამიტომ, ალბათ, სჯობდა, სხვა კანდიდატი ეძებნა ოპოზიციას, ეს მისთვის გაცილებით მომგებიანი იქნებოდა.

– სხვათა შორის, ბოლო დროს, ოპოზიციის მხარდამჭერებიც კი იმაზე საუბრობენ, რომ მათი არჩეული პოლიტიკოსების ნაბიჯები არათანმიმდევრულია პარლამენტში შესვლა-არშესვლისა და სიების გაუქმებაღდგენის საკითხებში. რა არის ოპოზიციის მთავარი პრობლემა ახლა?

– პრობლემა ისაა, რომ ოპოზიცია თავიდანვე არასწორ სტრატეგიულ გზას დაადგა, როცა განაცხადა, საპარლამენტო არჩევნები გაყალბდაო და წავიდა რიგგარეშე არჩევნებზე. „ნაციონალურ მოძრაობას“ რომ უყურებ, ყოველთვის 2003 წლის მოვლენების აჩრდილი ახლავს, ახალს კი არ ეძებს, ძველის განმეორებას ცდილობს და არის თუ არა ეს ძველი განმეორებადი, ამას არ აანალიზებს, ამიტომ თავიდანვე შეცდომა იყო ბოიკოტი და ქუჩის არჩევა. არასწორი იყო 43%-იან ბარიერზე თანხმობა, მიშელის დოკუმენტზე ხელის არმოწერა და ა.შ. ამ შეცდომებმა მოიყვანა ოპოზიცია აქამდე. პარლამენტში რომ შევიდნენ, სწორი გადაწყვეტილება მიიღეს, მაგრამ თუ იქ შედიხარ, უნდა იცოდე, რას აკეთებ. სწორია, თუ ოპოზიცია შედის პარლამენტში, თუ ქუჩის გადატანას არ შეეცდება საკანონმდებლო ორგანოში. როდესაც ტრიბუნასთან გამოსული ოპოზიციონერი იმავე სტილში ილაპარაკებს, როგორც ქუჩაში, მიტინგზე, ასეთ შესვლას აზრი არ აქვს. ამასთან, არ ვამბობ, რომ უნდა გამოირიცხოს, მაგრამ გარკვეული დროით, ქუჩის აქციების დაპაუზება აუცილებელია. ახლა, ძირითადად, ენმ-ზე ვსაუბრობ და თავად ამ პარტიაში არ არის ერთგვაროვანი დამოკიდებულება ამ პროცესებისადმი. სანამ ნაციონალური მოძრაობა არ ჩამოყალიბდება – ან პარტია უნდა გაიყოს, ან ჩამოყალიბდეს და შეჯერდეს, რას და როგორ აპირებს.

დღეს, მოსახლეობაში არაა ისეთი მძიმე განცდა და განწყობა, როცა ქუჩა აქტიური ხდება და აქციებით ბრძოლას მოსახლეობის უმეტესობა უჭერს მხარს. როცა ნახევარი მილიონი მხადამჭერი გყავს და 10 000 მხარდამჭერის ქუჩაში გამოყვანა პრობლემაა, უნდა მიხვდე, რომ შენს მხარდამჭერებშიც კი არაა საბრძოლო, რადიკალური განწყობა. ამ ქვეყანაში თითქმის ყველაფერს მოვესწარით და როდის ხდება ასეთი რადიკალიზმი? – ყველა ხელისუფლების ცვლილების წინ, მოსახლეობის უმრავლესობაში, გარდა იმისა, რომ ხელისუფლების წყევლა-კრულვა იყო, მორიგი მოდარაჯე ფრაზა არსებობდა – „ოღონდ ესენი არ იყვნენ და ვინც გინდა, მოვიდესო“. როგორც კი ეს განწყობა გაჩნდება მოსახლეობაში, ეს ნიშნავს, რომ მოსახლეობა ქუჩისთვის მზადაა, დღეს კი ეს განწყობა მოსახლეობაში არაა. ამასთან, ხელისუფლებები იცვლებოდა მაშინ, როცა მოსახლეობის უმრავლესობა ოპიზიციურად იყო განწყობილი. ასეთი განწყობა დღესაცაა, ბოლო არჩევნებში, პროპორციულად მიღებულ ხმებში ოპოზიციური მხარდამჭერი სჭარბობს, მაგრამ დღევანდელი ვითარება 2003 და 2012 წლებისგან ერთი რამით განსხვავდება – მაშინ ოპოზიცია აერთიანებდა ოპოზიციურ ამომრჩეველს, მათ ერთმანეთში თავსებადობის პრობლემა არ ჰქონდათ, პარტიების იდეოლოგიური განსხვავების მიუხედავად. დღეს კი ოპოზიციური ამომრჩევლი სხვაგვარია, დღეს, ოპოზიციის არანაციონალური ამომრჩევლის დიდი ნაწილი ხმას არ მისცემს იმ ბლოკს, სადაც „ნაციონალური მოძრაობა“ იქნება. ეს უნდა გაითვალისწინოს ოპოზიციამ და პირველ რიგში, „ნაციონალურმა მოძრაობამ“. ცოტა გაოცებული და დაბნეული ვარ, რადგან ვერაფრით ვხვდები, როგორ იღებენ გადაწყვეტილებებს.

მაინტერესებს, ადამიანთა ის ნაწილი, რომელმაც მიიღო სიების აღდგენის შესახებ თემის დაყენების გადაწყვეტილება, დღევანდელ ვითარებაში რომ ამბობენ, იციან, რაზეა წამსვლელი „ქართული ოცნება“, ნუთუ, ერთი ადამიანიც არ აღმოჩნდა, ვინც იკითხავდა, რომ ამაზე მმართველი ძალა არ დათანხმდებოდა? – როცა ასეთ რამეს ვხედავ, ვიბნევი. ორი-სამი დღეა, მთელი მმართველი ძალა და არა მარტო ის, ამ მოთხოვნაზე ქილიკობს და თუ ასე გააგრძელებს ოპოზიცია, რა წარმატების იმედი უნდა ჰქონდეს? – ოპოზიცია დაშლილი, დაქსაქსული, ჩამოუყალიბებელია და მარტო „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერ-ჯგუფში გადანაწილება არაა საკმარისი. ამიტომ, უნდა ჩამოყალიბდნენ, თუ არადა, „ქართული ოცნება“ აკონტროლებს დღეს პოლიტიკურ პროცესებს, უნდა, გამოუშვებს სააკაშვილს, უნდა – არა და ყოველთვის მოგებული იქნება.

რა ელის საქართველოს, თუ რუსეთი უკრაინაში შეიჭრება

გია ხუხაშვილი: „საფრთხე გვემუქრება!“

მაკა რუხაძე

დასავლეთმა – აშშ-მა და ევროპამ წამზომი უკვე ჩაურთო რუსეთს. უკრაინის საზღვართან ახლა ნამდვილი ნერვების ომია, მთელი მსოფლიო დაძაბული ელის თავზარდამცემ ამბავს – შეიჭრება თუ არა რუსეთი უკრაინაში. მსოფლიოს წამყვანი მედიასაშუალებების ტოპნიუსების მთავარი თემაც სწორედ ესაა, მეტიც, აშშ-ის პრეზიდენტის, ჯო ბაიდენის განცხადებით, რუსეთი უკრაინაზე თავდასხმას უახლოეს კვირაში ან დღეებში გეგმავს და იქვე დასძენს, რომ მის ამ ვარაუდს საკმაოდ მყარი საფუძველი აქვს:

„მივიჩნევთ, რომ მათი სამიზნე უკრაინის დედაქალაქი კიევი იქნება – ქალაქი, რომელშიც 2 800 000 უდანაშაულო ადამიანი ცხოვრობს. თუ რუსეთი ამ გეგმების განხორციელებას მიჰყვება, რუსეთი პასუხისმგებელი იქნება კატასტროფულ ომზე. აშშ და ნატო-ს მოკავშირეები ნატო-ს ტერიტორიის თითოეულ სანტიმეტრს დაიცავენ. ჩვენ არ გავგზავნით ჯარებს უკრაინაში საბრძოლველად, თუმცა გავაგრძელებთ უკრაინელი ხალხის მხარდაჭერას. აშშ, ჩვენი მოკავშირეები და პარტნიორები მხარს დაუჭერენ უკრაინელ ხალხს და რუსეთს პასუხს ვაგებინებთ მისი ქმედებებისთვის. დასავლეთი გაერთიანებულია და მტკიცედაა განწყობილი – მზად ვართ, რუსეთს მკაცრი სანქციები დავუწესოთ, თუ ის უკრაინაში შეიჭრება! თუმცა, გავიმეორებ, რუსეთს შეუძლია, დიპლომატიური გზა აირჩიოს. დეესკალაცია ჯერ კიდევ არაა გვიან“. ძნელი სათქმელია, გადადგამს თუ არა რუსეთი დეესკალაციისკენ ნაბიჯს, მაგრამ ფაქტია, თუ უკრაინაში მაინც შეიჭრება, აშშ-სა და მოკავშირეების მკაცრ სანქციებს ვერ ასცდება. ერთი კვირის წინ, ამერიკელმა სენატორებმა ოფიციალურად განაცხადეს, რომ უკრაინაზე თავდასხმის შემთხვევაში, რუსეთს ფინანსური სანქციები ელის. საინტერესოა, როგორ აისახება ეს პროცესი საქართველოზე, მით უფრო იმ ფონზე, როდესაც ორივე მხარე – რუსეთიცა და უკრაინაც ჩვენი ქვეყნის ძირითადი სავაჭრო პარტნიორები არიან. მეტიც, საქართველოს ენერგეტიკა – დენითა და გაზით – მიბმულია რუსეთზე. პოლიტიკისა და ეკონომიკის ანალიტიკოსმა, გია ხუხაშვილმა „ვერსიასთან“ ინტერვიუში აღნიშნა, რომ ამას საქართველოზე დრამატული გავლენა არ ექნება, თუმცა საფრთხე გვემუქრება და იქვე დააზუსტა – დღეს, საქართველოს ბედი, არც მეტი და არც ნაკლები, უკრაინაში წყდება!

– ბატონო გია, თუ რუსეთი დაარტყამს უკრაინას, აშშ-სა და მოკავშირეების ფინანსურ სანქციებს ვერ ასცდება. როგორ აისახება ეს პროცესი საქართველოზე?

– არ მგონია, ამან ჩვენზე სერიოზული და დრამატული გავლენა მოახდინოს, რადგან მცდარია წარმოდგენა, რომ ენერგეტიკულად მიბმულები ვართ რუსეთზე. კი, ბატონო, გვაქვს გარკვეული ურთიერთობები, მაგრამ ჩვენი ენერგოსისტემა საკმაოდ კარგადაა დივერსიფიცირებული. მაგალითად, გაზთან დაკავშირებით, საერთოდ პრობლემა არ გვაქვს, რადგან ამ მიმართულებით, ჩვენი გენერალური პარტნიორი აზერბაიჯანია, ხოლო რაც შეეხება ელექტროენერგეტიკას, აქაც იგივე მდგომარეობაა – ალტერნატიული სისტემები გვაქვს და გარკვეული ოდენობით, საკუთარი სიმძლავრეებიც გაგავაჩნია, გარდა ამისა, აგერაა აზერბაიჯანი, თურქეთი და სომხეთი. შესაბამისად, რუსეთთან ენერგეტიკული კავშირების გაწყვეტა, ევროპის ქვეყნებისგან განსხვავებით, ძალიან დრამატულ გავლენას ვერ მოახდენს საქართველოზე.

– გასაგებია, მაგრამ რუსეთიცა და უკრაინაც ხომ საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორები არიან?

– რაც შეეხება სავაჭრო პარტნიორობას, გარკვეული გადაჯგუფება მოხდება, მაგრამ დღევანდელ სამყაროში, ამას შესაძლოა, ფასების რყევა ანუ ინფლაციური პროცესის დაჩქარება მოჰყვეს. თუ იმას გულისხმობთ, რომ შესაძლოა, გარკვეული დეფიციტი შეიქმნას, არც ამგვარ დეფიციტს ველოდები, რადგან თანამედროვე გლობალური ეკონომიკური სისტემა საკმაოდ მოქნილია, რათა ქვეყნები უზრუნველყოფილნი იყვნენ, დეფიციტი არ შეიქმნას და პირველ რიგში, პირველადი მოხმარების პროდუქტები მაქვს მხედველობაში.

უბრალოდ, ჩვენ ვერ მოვახერხეთ საკუთარი ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა სათანადო დონეზე, ვერ განვავითარეთ ეკონომიკის რეალური სექტორი ისე, რომ თუნდაც სასურსათო უსაფრთხოება შეგვექმნა და ქვეყნის შიგნით წარმოებული პირველადი მოხმარების პროდუქტებით მოგვემარაგებინა ქვეყანა. ჩვენი გეოგრაფიული მდგომარეობიდან გამომდინარე, ბევრი ალტერნატივა გვაქვს თურქეთის მიმართულებით, აღმოსავლეთიდან და ამდენად, თუნდაც უკრაინისა და რუსეთის თამაშიდან გასვლის გამო, ბუნებრივია, გარკვეული გადაჯგუფება მოგვიწევს. თუმცა გიმეორებთმ ეს გადაჯგუფებაც საკმაოდ სწრაფადაა შესაძლებელი და ამ მხრივ, რაღაც კატასტროფულ მდგომარეობას არ ველოდები.

– მთელი მსოფლიოს ყურადღება მიპყრობილია უკრაინისკენ – შეიჭრება თუ არა რუსეთი. ომის დაწყების შემთხვევაში, საქართველოც ხომ მოვლენების ეპიცენტრში მოხვდება და ამ მხრივ, საფრთხე არ გვემუქრება?

– რა თქმა უნდა, გვემუქრება! ფაქტობრივად, მსოფლიო წესრიგისა და ჩვენი სამყაროში პოზიციონირების თვალსაზრისით, დღეს, საქართველოს ბედი უკრაინაში წყდება! გასაგებია, რა გეგმა აქვს რუსეთს – ესაა ტრანსფორმირებული საბჭოთა კავშირის აღდგენა და ამ გეგმაში, საქართველო მოიაზრება უკრაინასთან ერთად. შესაბამისად, რაც მოხდება უკრაინაში და როგორც განვითარდება მოვლენები, პაუზის ანუ გარკვეული პერიოდის შემდეგ, საქართველოშიც იგივე მოხდება. თუ დასავლეთმა ვერ მოახერხა უკრაინის სათანადო დაცვა, მით უმეტეს, საქართველოსაც ვერ დაიცავს და ეს სრულიად აშკარა იქნება!

აქედან გამომდინარე, ასეთი მოცემულობაა, რომ ჩვენი სასიცოცხლო ინტერესია ის, რაც ხდება უკრაინაში. ამ პროცესის ასე წაყრუება ანუ სიმხდალისა და არასტრატეგიული ხედვისთვის სიბრძნის დარქმევა, რასაც ხელისუფლება აკეთებს, როდესაც ვითომ ფრთხილობენ და ამას ძალიან ბრძნულ ნაბიჯს უწოდებენ, კარგ შემთხვევაში, სიბრიყვეა, ცუდ შემთხვევაში – მავნებლობა! შორს ვარ იმ აზრისგან, ხელისუფლებას მოვუწოდო, ფრონტის წინა ხაზზე გაიჭრას, რა თქმა უნდა, ესეც მეორე უკიდურესობაა და არც ეს უნდა მოხდეს, მაგრამ როდესაც მიმდინარეობს რკინის კედლის აღმართვა ორ სამყაროს შორის, შენ აბსოლუტურად გამოკვეთილი პოზიცია უნდა გქონდეს, ამ კედლის რომელ მხარეს ხარ!

ჩვენი ხელისუფლება ბუნდოვან პოზიციას ირჩევს ანუ მისდევს იმ კონცეფციას, დათვს თუ მოეფერები, ის აღარ შეგჭამს და ეს ასე ნამდვილად არ იქნება. დათვს თუ მოეფერები, კარგ ბიჭობაში კი არა, სისუსტეში ჩაგითვლის და უფრო გემრიელად შეგახრამუნებს. ასეთი მოცემულობაა, ჩვენი ხელისუფლება თვლის, რომ კი, ბატონო, პროდასავლელი ვარ, მაგრამ რუსეთსაც თვალი უნდა ვუპაჭუნო, რადგან არ გაბრაზდეს და არ გადამთელოს, რაც კარგ შემთხვევაში, სიბრიყვეა. ჩვენმა ხელისუფლებამ აირჩია ასეთი გზა – მივყვეთ ისტორიის დინებას, თუ მარჯვენა ნაპირზე გაგვრიყა ამ დინებამ, ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, გავაგრძელებთ ყვირილს – „ნატო-სა და ევროკავშირს გაუმარჯოს“, თუმცა მარცხენა ნაპირზე თუ გაგვრიყა, პრინციპში, „გაუმარჯოს წითელ არმიაზეც“ არ ვიტყვით უარს! აბა, რა ვქნათ ახლა, ხომ არ ვიომებთ?! თუ სხვა გზა არ გვექნება, კი, ბატონო, პუტინთან ერთადაც ვიცხოვრებთ, მთავარია, ჩვენ ვიყოთ ხელისუფლებაში! აი, ესაა მთავარი ფასეულობა, ხელისუფლებას სხვა ფასეულობა არ აქვს. რა, დემოკრატია უნდა, თუ სამართლიანი მართლმსაჯულება? – არაფერი, მხოლოდ ძალაუფლება და ამ ძალაუფლებით მოპოვებული სიკეთეები უნდა! მეტი ამოცანა და მიზანი მათ ცხოვრებაში არ აქვთ – კი, ბატონო, კარგია, თუ ევროპაში მოხდება ეს ყველაფერი, მაგრამ თუ ევროპაში არ მოხდება, ჩემს ძალაუფლებას რატომ შევუქმნა საფრთხე, პუტინთანაც შესანიშნავად ვიცხოვრებ!

– ბატონო გია, ვინაიდან საქართველოს ბედი უკრაინაში წყდება, დათვი რომ მოგერევა, ბაბაია უნდა დაუძახოს დრო ახლა ნამდვილად არ გვაქვს, ხომ?

– არა, ამის დრო კი არა, უაზრობაა ეს პოლიტიკა. თუ ნამდვილად ვთვლით, რომ ჩვენი განვითარების ვექტორი დასავლეთია, ახლა მიდის ომი და შენ მკვეთრი პოზიცია ხომ მაინც უნდა გქონდეს, რომელ ბანაკში ხარ? არ ვამბობ, რომ შევიარაღდეთ და ფრონტის ხაზზე გავიჭრათ, მაგრამ რომელ ბანაკში ხარ, ეს ხომ უნდა გამოკვეთო სრულიად აშკარად? ამას ჩვენი ხელისუფლება არ აკეთებს და პირიქით – ცდილობს, კოჭები გაუგოროს რუსეთსაც! ოპოზიციონერი დეპუტატები რომ აეროპორტიდანვე გაადეპორტა, ამით თვალები უპაჭუნა რუსეთს – ხომ ხედავ, მე კარგი ბიჭი ვარო. ვამბობთ, რომ დასავლეთში ვართ, მაგრამ მეორე მხრივ, რუსეთსაც „ბაბაიას“ ვეძახით. ეს პოზიცია რუსეთისთვის ძალიან ხელსაყრელია და ამას სისუსტედ გვითვლიან, მეტიც, რუსეთი ახლა ფიქრობს, მთავარია, უკრაინაში გადავწყვიტო პრობლემები, თორემ ესენი ხომ ისედაც ჩემები არიან! სამწუხაროდ, უნდა ვთქვა, რომ სწორად ფიქრობს რუსეთი, რადგან მართლა აქეთ მიდის პროცესი.

ქართული ბატალიონი ხომ არის უკრაინაში და ქართველი მებრძოლები იბრძვიან, გამოკვეთე, რა, შენი პოზიცია, რისი გეშინია? ეს თუნდაც იმისთვის გააკეთე, რომ დასავლეთმა თავისიანად ჩაგთვალოს. დღეს, დასავლეთი თავისიანად არ გვთვლის, კი, ბატონო, მათ ვჭირდებით, მათ აქტივად გვთვლიან და ძალიან არ გვიბრაზდებიან ამ სისულელეების გამო, რადგან რომ გაგვიბრაზდნენ, ეშინიათ, კიდევ უფრო მეტად არ გადავიხაროთ რუსეთისკენ და ჩუმად არიან, თუმცა თავისიანად არ მივაჩნივართ. თვლიან, რომ გაუგებარი ტიპები ვართ, რომლებიც დიახ, ვჭირდებით და გამოგვიყენებენ კიდეც, მაგრამ თავისიანებად არ მივაჩნივართ. ერთია, თქვენი დამოკიდებულება საკუთარი ოჯახის წევრების მიმართ, ხოლო მეორეა – მეზობლების მიმართ. დასავლეთი უკრაინას ოჯახის წევრად მიიჩნევს, ხოლო საქართველოს – მეზობლად, რომელსაც გამოიყენებს რაღაცაში, მაგრამ თუ დასჭირდა, კარგადაც მიაყიდის კიდეც, რადგან მისიანები არ ვართ, არც იმ წესებით ვცხოვრობთ, რაც მათთვისაა მისაღები და საბოლოოდ, ასეთი მეზობელიც არავის უნდა!

როგორ გახდა კომიკოსი „ხალხის მსახური“ და პრეზიდენტი

ყველაფერი ვოლოდიმირ ზელენსკიზე

ᲠᲣᲡᲐ ᲮᲐᲕᲗᲐᲡᲘ

უკრაინა და მისი პრეზიდენტი, დღეს, მსოფლიო ლიდერების განსაკუთრებული ყურადღების ქვეშაა – რუსეთის აგრესიის მოლოდინში, უკრაინის ახალგაზრდა პრეზიდენტის, ვოლოდიმირ ზელენსკის ყველა სიტყვასა და ქმედებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. სწორედ ამიტომ, „ვერსია“ ზელენსკის გზას შეგახსენებთ და კიდევ ერთხელ მოგიყვებათ, როგორ აღმოჩნდა ახალგზარდა, ექსცენტრიული კომიკოსი უკრაინის პრეზიდენტის თანამდებობაზე.

ვოლოდიმირ ზელენსკი 1978 წლის 25 იანვარს, უკრაინის საბჭოთა სოციალურ რესპუბლიკის ქალაქ კრივოი როგში, ებრაელი მშობლების ოჯახში დაიბადა. პაპამისი, სემიონ ივანეს-ძე ზელენსკი, მეორე მსოფლიო ომის დროს, წითელ არმიაში მსახურობდა. სემიონის მამა და სამი ძმა ტრაგიკულად მოკლეს ჰოლოკოსტის დროს. მამამისი, ალექსანდრ ზელენსკი პროფესორი და კრივოი-როგის ეკონომიკის ინსტიტუტის კიბერნეტიკისა და კომპიუტერული ტექნიკის ხელმძღვანელია, დედა, რიმა ზელენსკა კი ინჟინრად მუშაობდა.

ადრეულ ბავშვობაში, მისი ოჯახი ოთხი წლით გადასახლდა მონღოლეთის ქალაქ ერდენეტში, თუმცა მალევე დაბრუნდა კრივოი როგში, სადაც ზელენსკიმ სკოლაში სწავლა დაიწყო. უკრაინის დნეპროპეტროვსკის რეგიონის ბევრი ახალგაზრდის მსგავსად, მან სრულფასოვნად იცოდა რუსული ენა, მაგრამ ასევე, თავისუფლად ფლობდა უკრაინულ და ინგლისურ ენებს. 1995 წელს, ზელენსკი ჩაირიცხა კრივოი როგის ეკონომიკურ ინსტიტუტში, 2000 წელს კი დაამთავრა იურიდიული ფაკულტეტი. მიუხედავად იმისა, რომ ზელენსკის ჰქონდა იურიდიული საქმიანობის ლიცენზია, მისი კარიერა თავიდანვე სხვა მიმართულებით წარიმართა. ჯერ კიდევ სტუდენტობისას, თეატრში დაიწყო თამაში და მალევე, სწორედ ეს გახდა მისი მთავარი გატაცება.

1997 წელს, მისი საშემსრულებლო ჯგუფი „კვარტალი 95“ ანუ „უბანი კრივოი როგში“, სადაც ზელენსკიმ ბავშვობა გაატარა, გამოჩნდა სატელევიზიო КВН-ის (клуб весёлых и находчивых; მხიარულთა და საზრიანთა კლუბი) ფინალში. ეს კლუბი იყო და დღემდეა პოპულარული იმპროვიზაციული კომედიური კონკურსი, რომელიც მაუწყებლობდა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. ცოტა ხანში, ჯგუფი „კვარტალი 95“ და ზელენსკი გახდნენ КВН-ის რეგულარული მონაწილეები და 2003 წლამდე ამ გადაცემაში აქტიურად იყო ჩართული. იმ წელს კი ზელენსკიმ დააფუძნა „სტუდიო კვარტალი 95“, რომელიც გახდა უკრაინის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და ცნობილი გასართობი სტუდია. ზელენსკი „სტუდიო კვარტალი 95“-ის სამხატვრო ხელმძღვანელად მუშაობდა კომპანიის შექმნიდან 2011 წლამდე. ამის შემდეგ კი უკრაინული ტელევიზია Inter-ის გენერალურ პროდიუსერთა საბჭოს წევრი გახდა.

ზელენსკიმ „Inter TV“ 2012 წელს დატოვა, ხოლო იმავე წლის ოქტომბერში, მან და „კვარტალი 95“-მა, გააფორმეს ხელშეკრულება ერთობლივი წარმოების შესახებ უკრაინულ ქსელთან „1+1“, რომელიც ეკუთვნოდა იგორ კოლომოისკის, უკრაინის ერთ-ერთ უმდიდრეს ადამიანს. ზელენსკისა და კოლომოისკის ურთიერთობას მოსახლეობა კრიტიკულად გამოეხმაურა, როდესაც ზელენსკიმ პოლიტიკაში შესვლის შესახებ გააკეთა განცხადება. ტელევიზიაში მუშაობის გარდა, ზელენსკი გამოჩნდა არაერთ მხატვრულ ფილმში, მათ შორის, „რჟევსკი ნაპოლეონის წინააღმდეგ“ (2012), რომანტიკულ კომედიებში – „8 პირველი თარიღი“ (2012) და „8 ახალი თარიღი“ (2015).

ზელენსკის ჰყავს მეუღლე, ოლენა ზელენსკა (კიაშკო), რომელზეც 2003 წლის სექტემბერში იქორწინა. ისინი ერთ სკოლაში სწავლობდნენ. წყვილს პირველი ქალიშვილი, ალექსანდრა 2004 წლის ივლისში შეეძინა. 2016 წელს, ქალიშვილმა მონაწილეობა მიიღო შოუში The Comedy Comet Company Comedy's Kids და მოიგო 50 000 გრივნა. წყვილის მეორე შვილი, კირილო კი 2013 წლის იანვარში დაიბადა.

2013 წელს, ზელენსკი დაუბრუნდა „კვარტალ 95“-ის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობას, თუმცა მისი სამსახიობო კარიერა მალე გადაიკვეთა უკრაინის მაშინდელ დაძაბულ პოლიტიკურ მოვლენებთან. 2014 წლის თებერვალში, უკრაინის პრეზიდენტი, ვიქტორ იანუკოვიჩი გადადგა უდიდესი სახალხო პროტესტის შედეგად. მაისში კი უკრაინის ახალ პრეზიდენტად, მილიარდერი პეტრო პოროშენკო აირჩიეს. პოროშენკომ უკრაინაში რუსეთის უდიდესი უარყოფითი გავლენისა და სხვადასხვა სექტორში კორუფციის გამო, ვერ მოახერხა ქვეყანაში უმნიშვნელოვანესი რეფორმების გატარება. სწორედ ამ ფონზე, 2015 წელს, შედგა სერიალის – „ხალხის მსახური“ პრემიერა „1+1“-ის ეთერში. სერიალში ზელენსკი თამაშობდა ვასილი გოლობოროდკოს, ისტორიის მასწავლებელის როლს, რომელმაც მოულოდნელად, ვირუსული ვიდეოს წყალობით გაიმარჯვა უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებში. ამის შემდეგ ის იწყებს ბრძოლას კორუფციის წინააღმდეგ, თუმცა ყველაფერ ამის განსახორციელებლად, ძალიან ბევრი მოწინააღმდეგე და წინაღობა გამოუჩნდება.

სერიალი მალევე ძალიან პოპულარული გახდა, რასაც ხალხში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. გოლობოროდკოს უცნაური, მოულოდნელი და თითქმის არარეალური გზა უკრაინის პრეზიდენტობისკენ, ზელენსკისთვის, იგივე თანამდებობისთვის ბრძოლაში, ფაქტობრივად, სამოქმედო რუკა აღმოჩნდა. ამ ნაბიჯის მოლოდინში კი, 2018 წელს, „Kvartal 95“-მა „ხალხის მსახური“ ოფიციალურად დაარეგისტრირა პოლიტიკურ პარტიად.

უკრაინის ეკონომიკის დაღმასვლა და პრეზიდენტ პოროშენკოს პოპულარულობის რეიტინგის დაჩემა ხალხში აჩენდა მოლოდინს, რომ 2019 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, 2014 წლის არჩევნების განმეორება იქნებოდა, რომელშიც მოქმედი პრეზიდენტი „ნარინჯისფერი რევოლუციის“ ლიდერ იულია ტიმოშენკოს დაუპირისპირდებოდა. ამის ნაცვლად, არჩევნებში, სამი ათეულზე მეტი კანდიდატი დარეგისტრირდა და ზელენსკი კანდიდატურის გამოცხადების მომენტიდან ერთ-ერთი მოწინავე გახდა. მან პოლიტიკაში შესვლის შესახებ განცხადება გააკეთა „1+1“-ის ეთერში, 2018 წლის 31 დეკემბერს, პრეზიდენტ პოროშენკოს ყოველწლიურ საახალწლო მიმართვამდე ცოტა ხნით ადრე. ამ პროვოკაციულმა ნაბიჯმა კითხვები გააჩინა „1+1“-ის მფლობელის, კოლომოისკის მონაწილეობის შესახებ ზელენსკის კამპანიაში. წარსულში, კოლომოისკი პოროშენკოს მტკიცე მოკავშირე იყო, რომელსაც შემდეგ მასთან სერიოზული პრობლემები შეექმნა. სწორედ ამიტომ, ძალიან ბევრი ადამიანი ინტერესდებოდა კონკრეტულად მათი კავშირების შესახებ,

აქედან გამომდინარე, ზელენსკიმ ნელ-ნელა დაიწყო კოლომოისკისგან დისტანცირება, რაც საკმაოდ გაუმარტივდა მისი არაორდინალური საარჩევნო კამპანიის სტრატეგიის წყალობით. ის გაურბოდა დეტალურ პოლიტიკურ განცხადებებს, პრესკონფერენციებზე ლაპარაკს და შემოიფარგლებოდა მხოლოდ მოკლე გამოსვლებით ან კომედიური სკეტჩებით – Youtube-სა და „ინსტაგრამზე“.

დასასრული მე-8 გვერდზე

როგორ გახდა კომიკოსი „ხალხის მსახური“ და პრეზიდენტი

მე-7 გვერდიდან

2019 წლის 31 მარტს, ზელენსკიმ საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში, ხმების 30 პროცენტი მიიღო, ხოლო პოროშენკო – 16 პროცენტით, მეორე ადგილზე გავიდა. საარჩევნო პერიოდის განმავლობაში, ზელენსკი უარს ამბობდა პოროშენკოსთან დებატებზე, სანამ არჩევნების მეორე ტური არ გაიმართებოდა. ამ დებატებს კი, საბოლოოდ, სპორტული ღონისძიების სახე მიეცა. 2019 წლის 19 აპრილს, ათიათასობით ადამიანი შეიკრიბა კიევის ოლიმპიურ სტადიონზე, რათა ენახა ამ ორი ძალიან განსხვავებული პრეზიდენტობის კანდიდატის დაპირისპირება. მიუხედავად იმისა, რომ პოროშენკო ეცადა, ზელენსკი წარმოეჩენა ახალბედა პოლიტიკოსად, რომელსაც არ აქვს სიმტკიცე, დაუპირისპირდეს რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს, მაინც ვერ შეძლო მნიშვნელოვანი დარტყმების მიყენება მეტოქისათვის. მეორე დებატი დაგეგმილი იყო იმავე საღამოს, მოგვიანებით, თუმცა ზელენსკიმ მასში მონაწილეობაზე უარი განაცხადა და თქვა, რომ ერთი დღისთვის, ეს დებატები სრულიად საკმარისი იყო.

21 აპრილს, უკრაინის მოსახლეობამ ვოლოდიმირ ზელენსკი ხმათა შთამბეჭდავი უმრავლესობით – 73 პროცენტით აირჩია უკრაინის პრეზიდენტად. რამდენიმე დღეში, ახლადარჩეული პრეზიდენტის წინაშე უკვე იდგა ქვეყნის საკმაოდ სერიოზული გარე და შიდა პრობელემები, რაც დაუყონებლივ რეაგირებას მოითხოვდა. მათ შორის იყო ვადამდელი არჩევნები, რომელიც ძალიან მალევე დაინიშნა.

ვოლოდიმირ ზელენსკის ინაუგურაცია 2019 წლის 20 მაისს შედგა და მან ოფიციალურად დადო ფიცი ხალხის წინაშე. ახალმა პრეზიდენტმა თავისი საინაუგურაციო სიტყვა, რომელიც მიმდინარეობდა რუსულ და უკრაინულ ენაზე, ეროვნული ერთიანობისკენ მოწოდებისთვის გამოიყენა და „ვერდა რადას“ ანუ საკანონმდებლო ორგანოს დაშლის შესახებ ოფიციალურად გააკეთა განაცხადება. ეს ნაბიჯი პოლიტიკურად აუცილებელი იყო, რადგან მის საპრეზიდენტო გამარჯვებას არ უმაგრებდა ზურგს საკანონმდებლო ორგანოს მხარდაჭერა იმიტომ, რომ პარტიას – „ხალხის მსახური“ არ ჰქონდა ერთი საპარლამენტო ადგილიც კი.

სწორედ ამიტომ, ვადამდელი არჩევნები 21 ივლისს ჩატარდა, რომელიც თავად ზელენსკის შეფასებით, შესაძლოა, საპრეზიდენტო არჩევნებზე უფრო მნიშვნელოვანი მოვლენა გამხდარიყო. არჩევნების შედეგად, „ხალხის მსახურმა“ მიიღო აბსოლუტური უმრავლესობა – 450 ადგილიდან 254 მანდატი. პარტია „ხალხის მსახურმა“ აბსოლუტური მხარდაჭერა მიიღო „რადაში“, დამოუკიდებელი უკრაინის მთელი ისტორიის განმავლობაში.

ვოლოდიმირ ზელენსკი, პრეზიდენტობის მანძილზე, რამდენიმე ხმაურიან სკანდალში გაეხვა. პირველ რიგში, ეს არის „პანდორას დოკუმენტები“ ანუ pandora papers, რომელზეც გამოძიება ამ დრომდე მიმდინარეობს. ეს უზარმაზარი მოცულობის ინფორმაცია ეხება დაფარულ ფინანსურ სამყაროს, იგივე, ოფშორულ ზონებს, რომელთა საშუალებითაც ძალიან მდიდარი პოლიტიკოსები, ვარსკვლავები თუ სხვები ახერხებენ უდიდესი ფულის შოვნას. მედიაში გაჟონილი საიდუმლო დოკუმენტების თანახმად, უკრაინის პრეზიდენტს, ვოლოდიმირ ზელენსკისა და მის უახლოეს გარემოცვას შემოსავალი აქვს ოფშორული კომპანიების ქსელებიდან, მათ შორის, ბრიტანეთში არსებული უძრავი ქონებიდან.

პრეზიდენტ ზელენსკის სახელი, ასევე, აქტიურად ისმოდა კონგრესში, ამერიკის შეერთებული შტატების 45-ე პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის იმპიჩმენტის მიმდინარეობისას. ტრამპის მოწინააღმდეგეები აშშ-ის პრეზიდენტს ბრალს სდებდნენ, რომ ბაიდენის შვილის წინააღმდეგ გამოძიება უკრაინისთვის 250 მილიონი დოლარის დახმარების გამოყოფას უკავშირდებოდა. ყველაფერი ეს კი მან უკრაინის პრეზიდენტ ზელენსკისთან სატელეფონო საუბრისას განიხილა. მოგვიანებით, თეთრი სახლის მეთაურმა დაადასტურა, რომ სატელეფონო საუბრის დროს, ზელენსკისთან ნამდვილად აშშ-ის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის, ჯო ბაიდენისა და მისი შვილის საკითხი განიხილა. აშშ-ის კონგრესის დემოკრატმა წევრებმა გამოთქვეს ვარაუდი, რომ კორუფციასთან ბრძოლის საფარქვეშ, ტრამპი უკრაინის ხელისუფლებას თავისი ოპონენტების წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებას აიძულებდა. თავის მხრივ, ეს ბრალდებები ზელენსკიმ სრულიად უარყო.

„მე არ მსურს აშშ-ის დემოკრატიულ არჩევნებში ჩარევა. ჩვენს შორის კარგი, ნორმალური სატელეფონო საუბარი შედგა. ბევრ რამეზე ვისაუბრეთ. ეს თქვენც წაიკითხეთ და ნახეთ, რომ არავინ მაიძულებს რამეს“, – განაცხადა ამ სკანდალთან დაკავშირებით, ვლადიმერ ზელენსკიმ.

დღეს, ზელენსკი ყველანაირად ცდილობს დიპლომატიური ხერხებით გადაწყვიტოს რუსეთის მოსალოდნელი აგრესია და თავიდან აიცილოს ომი, რომელიც, შესაძლოა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ევროპაში ყველაზე სასტიკი და ფართომასშტაბიანი აღმოჩნდეს.

მნიშვნელოვანია გავიხსენოთ, რომ ის საქართველოს ყოველთვის განსაკუთრებულ მეგობრად მიიჩნევდა და მიიჩნევს. ამის ნათელი დადასტურება 2021 წლის ზაფხული იყო, როდესაც ხურჩასა და ენგურის ხიდზე, საოკუპაციო ხაზთან მივიდა, სადაც პირდაპირ ბათუმის საერთაშორისო აეროპორტიდან გაემგზავრა.

სამართალი

№7 23 თებერვალი 2022 წ

რუსეთ-უკრაინის მოსალოდნელი ომი ნარკოტიკების მოძრაობას უკონტროლოს გახდის

ბათო ჯაფარიძე

უკრაინა-რუსეთს შორის მოსალოდნელი სამხედრო დაპირისპირება არა მხოლოდ სხვადასხვა ქვეყნის ლიდერების განსასჯელი თემაა. მართალია, დიდი სახელმწიფოს პრეზიდენტები ხმამაღლა აკეთებენ განცხადებებს, რომ ომი არ უნდა დაიწყოს, მაგრამ რეალურად, მსოფლიოს ყველაზე დიდ და ევროპის უდიდეს სახელმწიფოებს შორის მოსალოდნელი სამხედრო ესკალაცია სხვა ქვეყნებს... ფულის კეთების საუცხოო შესაძლებლობას აძლევს. გარდა იმისა, რომ იარაღით ვაჭრობა უდიდესი ბიზნესია, ჰუმანიტარული დახმარების სახით, არაერთი თვითმფრინავი დაეშვება უკრაინაში და არაერთი გემი მიადგება ოდესის პორტს. ჰოდა, დიდი ქვეყნები ხელს დაიცლიან – მარაგს, რომელსაც ყოველწლიურად ანახლებენ და ძველ პროდუქტებს ანადგურებენ ან განვითარებად ქვეყნებს „ატენიან“, ახლა უკრაინაში, ევროპის ყველაზე დიდ სახელმწიფოში გაუშვებენ. ნუ გაგიკვირდებათ, რომ თითქმის ვადაგასულ პროდუქტებს, სწორედ ომის დროს ასაღებენ ზესახელმწიფოები, როცა ტყვიების ზუზუნი ისმის, პროდუქტების ვადის შემოწმებაზე ადამიანები დიდ დროს არ კარგავენ.

როგორ სარგებლობენ ომით კრიმინალები

პოლიტიკოსების გარდა, ომი კრიმინალისთვისაც საუცხოო პერიოდია ფულის გასაკეთებლად. უფრო ზუსტად კი, დიდი ფულის გასაკეთებლად. ბანალური „მოროდიორობით“ დავიწყოთ და 2008 წლის აგვისტოს ომი გავიხსენოთ. პირველი, რაც სეპარატისტებმა და რუსმა ჯარისკაცებმა გააკეთეს, ტექნიკის მაღაზიების დაცლა იყო. ჰო, მიაყენეს სამხედრო მანქანები და ახალთახალი ტელევიზორები, სარეცხი მანქანები, მაცივრები, მტვერსასრუტები გაზიდეს. მაშინ ერთ-ერთმა კომპანიამ 2 მილიონი ლარის სუფთა ზარალი განიცადა, რადგან ომამდე სამი თვით ადრე, წინა ხელისუფლებამ ზედ საზღვარზე, საფირმო მაღაზიის გახსნა და ახალი პროდუქციით გაძეძგვა უბრძანა, ომის დროს კი ეს მაღაზია „მოროდიორების“ გარდა, არავის გახსენებია.

გარდა „მოროდიორობისა“ და მიტოვებული ქონების დაპატრონებისა, არეულობა კრიმინალისთვის სხვა შესაძლებლობებსაც ხსნის. ომის პერიოდში, სამართალდამცავთა უდიდესი ნაწილი იარაღით ხელში, ჯარისკაცებთან ერთად, სამშობლოს იცავს, შედეგად, მათი სიმცირე კრიმინალს შესაძლებლობას აძლევს, სოლიდური საქმეები დაგეგმონ. ასე, მაგალითად, ახლო წარსულში, საფრანგეთში მომხდარი არეულობების დროს, გაიძარცვა რამდენიმე საიუველირო მაღაზია, გატაცებულ იქნა ათეულობით ბანკომატი და მართალია, ომის დროს, ბანკომატებს ბანკების მფლობელები აცარიელებენ ხოლმე, მაგრამ იარაღიანი ხალხი ქუჩაში არავის უკვირს და ბანკის გაძარცვა პრობლემას არ წარმოადგენს.

ცალკე თემაა ნარკოტიკების მოძრაობა. შესაძლოა, ბევრმა არ იცის, მაგრამ აგვისტოს ომის დროს, საქართველოს გავლით, როგორც აფხაზეთში, ისე სამაჩაბლოში, არაერთი კილოგრამი ნარკოტიკი გადაიტანეს და მათ ოფიციალურად, რუსი ჯარისკაცები აცილებდნენ. გემახსოვრებათ, მაშინდელი გუბერნატორები რუს გენერლებს მძღოლებად ჰყავდათ და ნარკოტიკების მოძრაობას ვერავინ აკონტროლებდა, მით უმეტეს მაშინ, როცა ნარკოდილერებს დაცვად რუსი ჯარისკაცები ჰყავდათ. ახლაც, რუსეთ-უკრაინის მოსალოდნელი ომი, ნარკოდანაშაულისთვის საუკეთესო გარემოს შექმნის და ქვეყანაში ნარკოტიკების მოძრაობა, როგორც ზღვით, ისე – ხმელეთით უკონტროლო გახდება. ასეთ პერიოდში იქმნება ერთგვარი მარაგები ნარკოტიკებისა, რომელსაც მერე, ნელ-ნელა ასაღებენ. ის, რომ ომი დაუსრულებლად არ გაგრძელდება, ყველამ იცის და ამიტომ, ნარკოტიკების დაბინავება ისეთ დიდ ქვეყანაში, როგორიც უკრაინაა, იდეალური ვარიანტია.

ომის პერიოდში ძლიერდება სასჯელაღსრულებითი დაწესებულებების დაცვა, რადგან არსებობს დიდი რისკი, რომ კრიმინალურმა დაჯგუფებებმა იერიში მიიტანონ ციხეებზე და პატიმრების გათავისუფლებას შეეცადონ. ეს განსაკუთრებით იმ დაწესებულებებს ეხება, სადაც სასჯელს ის პატიმრები იხდიან, რომლებსაც გრძელვადიანი სასჯელი ან სულაც, სამუდამო პატიმრობა აქვთ. შედეგად, ომის შესაძლო დაწყებას არა მარტო პოლიტიკოსები აკვირდებიან გაფაციცებით, არამედ, კრიმინალებიც და მერწმუნეთ, არაერთ კრიმინალს გადატენილი იარაღი სახლში უდევს და ერთი სული აქვს, ქუჩაში როდის გამოვარდება საკბილოს საძებნელად.

ომი შურისმაძიებელთათვისაც საუკეთესო გამოსავალია. შეკვეთილი მკვლელობები, „შემთხვევითი“ გასროლა და ადამიანების დახოცვა ყოველდღიურ წესადაა ხოლმე ქცეული და თუ მშვიდობიანობის დროს, ერთი ადამიანის სიკვდილი ტრაგედიაა, ომში, ათეულების სიკვდილი სტატისტიკად იქცევა ხოლმე. ეს ნამდვილი ტრაგედია მხოლოდ გარდაცვლილის ოჯახის წევრებისთვისაა, ზუსტად ისე, როგორც ახლა, კორონავირუსით, თუნდაც ყოველდღიურად იღუპება საქართველოში ათეულობით ადამიანი და, უბრალოდ, როგორც სტატისტიკას, ისე ეცნობა უმრავლესობა, ვიდრე ეს მისი ოჯახის წევრს, ნათესავსა და მეგობარს არ შეეხება.

სამწუხაროდ, შანსი, რომ რუსეთსა და უკრაინას შორის ომი დაიწყოს, ძალიან დიდია. უდიდესია იმის ალბათობაც, რომ ამ ომში, გარკვეულწილად, საქართველოც ჩაერთვება და პირველი სიგნალი იმისა, რომ რუსეთი ჩვენზეც იყრის ჯავრს, უკვე არსებობს. რუსმა პოლიტიკოსებმა, უკრაინაში, ქართული ბატალიონების ჩამოყალიბება და ქართველი მებრძოლების ყოფნა უკვე გააპროტესტეს. ბეწვის ხიდზე გავლა გვმართებს, როგორც მოქალაქეებს, ისე პოლიტიკოსებს. საქართველოში კრიმინალით ვერავის გავაკვირვებთ, მაგრამ იქნებ, სწორედ ახლაა ის დრო, ყველა ერთად, ერთი მიზნისთვის დავდგეთ და ეგებ, ერთხელ, ამ ერთხელ მაინც ყველამ შევძლოთ, რომ პირველ რიგში, ქვეყანას მოვუტანოთ სარგებელი.

ბათო ჯაფარიძე

სასიდედროს სასიძო შემოაკვდა

რა დაალევინა ქალმა 35 წლის მამაკაცს და როგორ გაითამაშა ძარცვის სცენა

ალბათ, არ არსებობს აკრძალული ნივთი თუ ნივთიერება, რომელსაც შესაბამისი თანხის გადახდის შემთხვევაში ვერ შეიძენთ. ადრე კი ასე ნამდვილად არ იყო. აკრძალულ ნივთებს ვინ ჩივის, ჯინსის შარვალი, ქურთუკი და ქალის ხარისხიანი წინდების ყიდვაც კი უდიდეს პრობლემას წარმოადგენდა. ის, ვინც ახერხებდა საზღვარგარეთ წასვლას, იქ ნანახს ზღაპრად ჰყვებოდა და თუ ეს უცხო მხარე არ იყო ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია ანუ აღმოსავლეთ ევროპის ყოფილი სოციალისტური ქვეყნები, მაშინ ხომ საერთოდ, არაამქვეყნიურ ცხოვრებას აღწერდნენ. სამწუხაროდ, მაშინ საზღვარგარეთ წასვლა ბევრისთვის აუხდენელი ოცნება იყო და რაც მთავარია, იქ წასულ ჯგუფს მუდმივად ახლდა უშიშროების თანამშრომელი, რომელიც ყველას და ყველაფერს აკონტროლებდა. შემდეგ იყო უმკაცრესი კონტროლი აეროპორტში, ქვეყანაში ისეთი ნივთი რომ არ შემოეტანა ვინმეს, რომელიც საბჭოთა მოქალაქის მორალურ სახელს არ შეეფერებოდა. მაგალითად, არ შეიძლებოდა ეროტიული ჟურნალების შემოტანა, ხოლო სიგარები და სიგარეტები – ლიმიტირებული, ასევე, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და სხვა ნივთებიც...

ქუჩაში ნაპოვნ, 35 წლამდე მამაკაცის ცხედარს თავზე ბლაგვი საგნით მიყენებული ჭრილობა ეტყობოდა და წინასწარი ვარაუდით, სიკვდილის მიზეზი ეს გახდა, მაგრამ ექსპერტიზის დასკვნამ აჩვენა, რომ მამაკაცი გულის შეტევით გარდაიცვალა, ჭრილობა კი სიკვდილის შემდეგ მიაყენეს. რაც მთავარია, გულის შეტევა სხეულში აღმოჩენილმა უცნობმა შენაერთმა განაპირობა, გაურკვეველმა სითხემ, რომელიც კაცმა ღვინოსთან ერთად მიიღო. მალე დადგინდა ვინაობაც – ერთ-ერთი საამქროს მთავარი ინჟინერი, უცოლო, პატიოსანი კაცი, რომელსაც დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. ვერავინ ხვდებოდა, ვის შეეძლო გაემეტებინა, რადგან არც მტერი ჰყავდა და არც ისეთი მექალთანე იყო, ეჭვიანობის ნიადაგზე, ვინმეს მოეკლა. მართალია, როცა იპოვეს, ჯიბეში საფულე არ ედო, მაგრამ მეგობრები ამბობდნენ, დიდი თანხა თან არასდროს დაჰქონდა, მაქსიმუმ, 20-30 მანეთი ჰქონოდაო. მისი სახლის ჩხრეკისას, ერთ-ერთ წიგნში 1 200 მანეთი იპოვეს, რაც მაშინ მცირე თანხა ნამდვილად არ იყო, მაგრამ მარტოხელა ინჟინრისთვის არც ისე ბევრი – იმხანად, თავის რჩენა მარტოხელა კაცისთვის მარტივი იყო, ძვირი არ ჯდებოდა და ხელფასის დიდ ნაწილს ადამიანები ბანკში ან სახლში ინახავდნენ.

„ეს კაცი იქ არ მომკვდარა, სადაც ვნახეთ. მას იღლიებში მანქანის ზეთის კვალი აქვს ანუ ვვიღაცამ ათრია და ის ვიღაც მარტო იყო, რადგან მიწაზე ქუსლების ნაკვალევიც ვნახეთ. ის სადღაც, სხვაგან მოკვდა, შემდეგ, სავარაუდოდ, მანქანით მოიყვანეს, ასევე სავარაუდოდ, მძღოლს მანქანა ახალი გაკეთებული ჰყავდა, რადგან ზეთიანი ხელები ჰქონდა და ეს ადამიანი ფიზიკურად სუსტი იყო, რადგან არცთუ დიდი სხეული ორ მეტრზეც კი ვერ გაათრია. თავში ბლაგვი საგანიც თვალის ასახვევად ჩაარტყეს“, – თქვეს ექსპერტებმა.

მოკლედ, მამაკაცი მოკვდა იქ, სადაც მისი დატოვება არ შეიძლებოდა. საქმეში თავიდან უშიშროებაც კი ჩართეს, რადგან გარდაცვლილს ორგანიზმში გაურკვეველი სითხე ჰქონდა, თუმცა უშიშროება მალე ჩაეხსნა, რადგან მამაკაცს არც სახელმწიფო საიდუმლოებასთან ჰქონდა შეხება და არც ისეთ საწარმოში მუშაობდა, მისი ცოდნა უცხოურ დაზვერვას რომ დასჭირვებოდა. გარდაცვლილის მეგობრებმა თქვეს, რომ მამაკაცს საცოლეც ჰყავდა, თუმცა ცოლად მოყვანას რატომღაც აჭიანურებდა, ასე ამბობდა, უნდა დავრწმუნდე, რომ ეს სწორედ ის ქალია, ვისთან ერთადაც მთელი ცხოვრების გატარება მსურსო.

საცოლესაც მალე მიაგნეს – 30 წლის ქალს მამა გარდაცვლილი ჰყავდა და დედამ გაზარდა. ის კვების ტექნოლოგი იყო და საკონდიტროში მუშაობდა, დედა კი, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, სტილისტი გახლდათ, საპარიკმახეროში მუშაობდა და ქალების ვარცხნილობებზე ზრუნავდა. მოიკითხეს და გაარკვიეს, რომ გოგო ზედმიწევნით პატიოსანი გახლდათ, მის მორიდებულ ხასიათს აბრალებდნენ, რომ ამდენი ხნის განმავლობაში ვერ გათხოვდა, აი, დედა კი თამამი ქალი იყო, არავის არაფერს შეარჩენდა და ისე ჩანდა, რომ მარტო ცხოვრებას მისთვის ბრძოლის უნარი გაეათმაგებინა.

დედა-შვილის დაკითხვამ შედეგი ვერ გამოიღო, სასიდედრო დიდად არ წუხდა, საცოლე კი თავს იკლავდა, მალე ქორწილი უნდა გვქონოდა და რას ვიფიქრებდი, თუ მის გასვენებაში მომიწევდა მისვლაო. ჰო, ოჯახს მანქანაც ჰყავდა, ძველი „ვაზ 21-011“, რომელსაც დედა მართავდა. გამომძიებლებს მაშინვე ის გაახსენდათ, ექსპერტებმა რომ თქვეს, კაცი იმ ადგილზე მანქანით მიიყვანეს და ისეთმა ადამიანმა ათრია, ფიზიკურად ძლიერი რომ არ იყოო. მანქანის დათვალიერებას წინ არაფერი ედგა და ექსპერტებმა საგულდაგულოდ შეამოწმეს, თუმცა ვერაფერი იპოვეს – სალონი ათასგვარი ხსნარებით იყო დამუშავებული. სამართალდამცავთა კთხვაზე, რატომ იყო სალონი ქიმიური ხსნარებით ასე საგულდაგულოდ გასუფთავებული, ქალმა მშვიდად უპასუხა, მე სულ ასე ვასუფთავებ, სამსახურში არსებული ხსნარები მომაქვს და მანქანას მუდმივად ამ საშუალებებით ვწმენდო. გადაამოწმეს და ბევრმა აღნიშნა, რომ ქალს სისუფთავისადმი საკუთარი დამოკიდებულება ჰქონდა და ავტომობილსაც გამუდმებით, რაღაც ხსნარებით წმენდდა.

რაც შეეხება ალიბს, დედა-შვილი ამტკიცებდა, მკვლელობის ღამეს შინ ვიყავით და ტელევიზორს ვუყურებდითო. სამართალდამცავები ჩიხში შევიდნენ – სავარაუდო ეჭვმიტანილიც კი არ ჰყავდათ. რაც მთავარია, ვერ არკვევდნენ, რა შეიძლებოდა ყოფილიყო სითხეში და რაც მთავარია, რისთვის მიიღო მამაკაცმა ის ღვინოსთან ერთად. აბსურდულად ჩანდა ვერსია, რომ გაქურდვის მიზნით მოწამლეს. ყოველ შემთხვევაში, ექსპერტებმა სითხის შემადგენლობა იმ სითხეებს შეადარეს, რომლებსაც საპარიკმახეროებში იყენებდნენ, მაგრამ მიახლოებითი მსგავსებაც კი ვერ აღმოაჩინეს ანუ დედა-შვილის მონაწილეობა საბოლოოდ გამოირიცხა, თუმცა...

მომხდარიდან ცოტა ხანში, საპარიკმახეროში ინციდენტი მოხდა – ერთმანეთს გარდაცვლილი მამაკაცის სასიდედრო და მისი საუკეთესო მეგობარი წაეკიდნენ. წაკიდებას ვინ ჩივის, ხმაურზე ხალხი ქუჩიდანაც კი შევიდა და მოჩხუბრები ძლივს გააშველეს. რა თქმა უნდა, სამართალდამცავებმა ყველაფერი ეს, მკვლელობას დაუკავშირეს (სხვა გზა მაინც არ ჰქონდათ, რადგან სავარაუდო ეჭვმიტანილი და მოტივი არ არსებოდა) და ამიტომ, მეგობარი უმკაცრესად დაკითხეს. იმასაც ამბობენ, თავში ისე წაუთაქეს, ლამის თვალები მაგიდაზე წამოყარაო და მანაც დაიწყო.

„რამდენიმე კვირის წინ, ჩემი ქმარი ფრენბურთელთა ნაკრებს გაჰყვა ჰოლანდიაში. ის მასაჟისტია და შესაბამისად, ხშირად მოგზაურობს. იქიდან პატარა ბოთლი ჩამოიტანა, რომელშიც სითხე იყო. მისი მიღების შემდეგ, მამაკაცი არანორმალურად იღგზნება და სიმართლე გითხრათ, მეც კმაყოფილი ვიყავი და ჩემი ქმარიც. მერე, ჩემმა მეგობარმა დაიჩივლა, ჩემს გოგოს საქმრო ჰყავს, მაგრამ ორივე ისეთი უნიათო და მორიდებულები არიან, ერთმანეთს კიდევ დიდი ხნის განმავლობაში არაფერს ეტყვიანო. სწორედ მაშინ შევთავაზე, ბიჭს საჭმელში ის სითხე გაურიე, მარტო დატოვე და ნახავ, შენს გოგოს ტანსაცმელს თუ არ შემოახევს-თქო. მე რა ვიცოდი, რომ ღვინოში ჩაასხამდა და თანაც რამდენიმე წვეთს კი არა, ლამის ნახევარ ფლაკონს. იმ ბიჭსაც გული გაუსკდა, გოგო არ სვამდა, თორემ ისიც მოკვდებოდა. მერე, როცა ქალი მიხვდა, რომ სასიძო მოკვდა, სახლიდან გაათრია, გვამი მანქანით წაიღო და მოშორებით დააგდო, თანაც მკვლელობისა და ძარცვის შთაბეჭდილება შექმნა, მერე კი მე დამიწყო საქმის გარჩევა, სპეციალურად გამიკეთე, არ გინდა, რომ ჩემი შვილი ბედნიერი იყოსო“, – აღიარა დაკავებულმა.

სითხე ანუ აღგზნების სპეციალური სტიმულატორი, რომელიც საბჭოთა კავშირში, რა თქმა უნდა, არ იყიდებოდა, ადგილობრივი ექსპერტებისთვის უცხო ხილი აღმოჩნდა. დედა-შვილს აღიარების მეტი არაფერი ჰქონდა დარჩენილი, თუმცა სასამართლომ ორივე დაინდო – დედას გაუფრთხილებელი მკვლელობისთვის 7 წელი ერგო, შვილს კი დანაშაულის დაფარვისთვის ორი წლით პირობითი სასჯელი აკმარეს.

ბათო ჯაფარიძე

კომუნისტების დროს, პრაქტიკულად, ყველა რესპუბლიკაში იყო „ვაენნი გარადოკი“, სადაც ოფიციალურად, რუსი სამხედროები ცხოვრობდნენ ოჯახებით. ეს ტერიტორია მავთულხლართებით იყო შემოსაზღვრული, ჰყავდა დაცვა, თუმცა შიგნით არსებობდა მაღაზიები, სკოლები, საბავშვო ბაღი ანუ ეს იყო ქალაქი – ქალაქში. სინამდვილეში, ოფიცერთა აბსოლუტური უმრავლესობა ძლევამოსილი „კა-გე-ბე“-ს თანამშრომელი იყო და ისინი პოლიტიკურ სიტუაციას არა მარტო იმ რაიონში აკონტროლებდნენ, სადაც მათი დისლოკაციის ადგილი იყო, არამედ, მთელ რესპუბლიკაშიც. ასე განსაჯეთ, უქმე დღეებში, საღამოობით, დისკოტეკაც კი იმართებოდა და ადგილობრივი მოსახლეობა ახერხებდა მასზე მოხვედრას, ზოგი ღობეზე ძვრებოდა, ზოგი კი მორიგე „სალდათს“ ჯიბეში 5-მანეთიანს უკუჭავდა. მაშინ 5 მანეთი არ იყო მცირე თანხა, ჯარისკაცის ხელფასი კი თვეში 3.2 მანეთი გახლდათ.

სადისტური მკვლელობა „გარადოკში“

ვინ მოკლა ვიცე-პოლკოვნიკის მეუღლე

ხომ წარმოგიდგენიათ, რა მოხდებოდა, როცა ერთ-ერთი ასეთი „გარადოკის“ ტერიტორიაზე, ვიცე-პოლკოვნიკის მეუღლე გარდაცვლილი იპოვეს. სიკვდილის მიზეზი ბასრი საგნით სხეულის სხვადასხვა მიდამოში მიყენებული 47 ჭრილობა გახლდათ. წესითა და რიგით, საქმე ქართველი გამომძიებლებისთვის უნდა მიეცათ, მაგრამ ადგილობრივები გამოძიებაში სიმბოლურად ჩართეს და რეალურად, ყველაფერს რუსული მხარე აკოტნროლებდა. უმკაცრესად დაიკითხა ყველა ჯარისკაცი, რომელიც იმ დღეს „ყარაულში“ იყო და გაირკვა, რომ საერთო ჯამში, ტერიტორიაზე, 11 უცხო მოქალაქე შევიდა. რა გასაკვირია, რომ 11-ვე ახალგაზრდა მამაკაცი იყო და მართალია, ჯარისკაცებმა ერთის სახელიც არ იცოდნენ, სახეზე სცნობდნენ და იფიცებოდნენ, ყოველთვის აქ არიან და აუცილებლად ამოვიცნობთო. მართლაც, მომდევნო 3-4 დღის განმავლობაში, ყველა მოვიდა, ყველა ამოიცნეს და დაკითხეს. რუს სამართალდამცავებს ერთი სული ჰქონდათ, მკვლელობაში სწორედ ქართველები გამოეჭირათ, მაგრამ თავადაც ხვდებოდნენ, რომ იქ ვიცე-პოლკოვნიკის ცოლის მოსაკლავად არავინ მივიდოდა და ამიტომ, დამნაშავე შიგნით უნდა ეძებნათ. ეს არ გახლდათ მარტივი საქმე, რადგან, პრაქტიკულად, ყველა ჩინიანი გახლდათ და მათი დაკითხვა სერიოზულ პრობლემასთან იყო დაკავშირებული.

ამიტომ, საქმის გამომძიებელმა მოსკოვს უპატაკა, ჯეროვან საგამოძიებო მოქმედებებს ვერ ვატარებ, არც სათანადო დაკითხვის შესაძლებლობა მაქვს და იქნებ, ისეთი ქართველი გამომძიებელი მომცეთ, რომ არ დაინტერესდება, მის წინ გენერლის ცოლი ზის დაკითხვაზე, თუ რიგითი ჯარისკაციო. მოსკოვიდან განკარგულება მალე მოვიდა და ერთის ნაცვლად, საქმეში ორი ქართველი გამომძებელი ჩართეს. რა თქმა უნდა, საქმეს გრიფით „საიდუმლო“ ედო და გამომძიებლებს ამ თემის არათუ საჯაროდ განხილვა, არამედ, მოსაზრებების კოლეგებისთვის გაზიარებაც კი აუკრძალეს და უმკაცრესად გააფრთხილეს, საიდუმლოს გათქმის შემთხვევაში, ციხე არ აგცდებათო.

თავის მხრივ, ქართველმა სამართალდამცავებმა ზუსტად იცოდნენ, რომ გამოძიება მკაცრად უნდა ეწარმოებინათ, მაგრამ არ უნდა გადაემლაშებინათ. პირველ რიგში, მათ ქვედა რგოლი, რიგითი ჯარისკაცები დაკითხეს. „სალდათებმა“ არ დამალეს, რომ მოკლული ქალის მეუღლე სერიოზული მექალთანე იყო და საყვარელი არა მარტო „გარადოკში“, არამედ რაიონშიც ჰყავდა. რაიონში ის ერთ-ერთ ექთანთან დადიოდა, რომელსაც ქმარი გარდაცვლილი ჰყავდა და ქართველი მაძებრები მას მიადგნენ.

„მეგონა, ბედი გამეხსნა. ეგ ვიცე-პოლკოვნიკი ცოლობას მპირდებოდა და ერთხელ, როცა რამდენიმე დღე არ გამოჩნდა, „გარადოკში“ მივედი და მოვიკითხე. მის ნაცვლად, ცოლი გამოვიდა და დამიცაცხანა, აქ მეორედ მოსული აღარ დაგინახო, შავ დღეს დაგაყრიო. რა უნდა მექნა, უკან გამოვბრუნდი და ერთი კვირის შემდეგ, შემთხვევით, ვიცე-პოლკოვნიკი მაღაზიაში ვნახე, მივესალმე და ასე მითხრა, გეშლებით ქალბატონო, არ გიცნობთო. სავარაუდოდ, მეუღლემ დააშინა და ცოლად წაყვანა კი არა, ნაცნობობაც უარყო. მას შემდეგ აღარ მინახავს და აღარც ურთიერთობა მაქვს“, – განაცხადა ქალმა.

ასეთი შეურაცხყოფა შეიძლებოდა მკვლელობის მოტივი გამხდარიყო, მაგრამ ჯარისკაცები ირწმუნებოდნენ, „გარადოკში“, მკვლელობის დღეს, ქალი არ შემოსულა, მხოლოდ ბიჭები იყვნენო და თანაც, ქალს ალიბიც ჰქონდა – მკვლელობის მომენტში, საოპერაციოში ქირურგს ეხმარებოდა და ამას რამდენიმე ადამიანი ამოწმებდა.

რაც შეეხება შიდა პერიმეტრს, იქ ვიცე-პოლკოვნიკის საყვარელი მზარეული ქალი იყო, თუმცა მისი დაკითხვის შემდეგ, გამომძიებლებისთვის დღესავით ნათელი გახდა, რომ ის არავის მოკლავდა. მზარეული რუსეთიდან იყო ჩამოსული, საერთოდ არაფერზე ნერვიულობდა და იმას ამბობდა, მარტო ვიცე-პოლკოვნიკი კი არა, მუდმივად მზად ვარ, ნებისმიერთან დავწვე, სამხედრო ფორმაზე ვიღგზნები და მეტი საქმე არ მაქვს, ამის გულისთვის მკვლელობა ჩავიდინო, პირიქით, სამხედროების ცოლები ცდილობენ ხოლმე ჩემს გაგუდვასო. გამომძიებლებს ეს ძაფიც გაუწყდათ და, პრაქტიკულად, უშანსოდ დარჩნენ.

მამაკაცებს ქალის მკვლელობა არაფერში სჭირდებოდათ, ზოგადად, „გარადოკში“ ქალის პრობლემა არ იყო, უფრო კაცი ჭირდა.

სწორედ ამიტომ, გამომძიებლებმა ვიცე-პოლკოვნიკის გარშემო დაიწყეს ტრიალი. იმის მიუხედავად, რომ მეუღლის მკვლელობის მომენტში მას ალიბი ჰქონდა, თავისუფლად შეეძლო, რომელიმე ჯარისკაცისთვის, კარიერული წინსვლის სანაცვლოდ ეთხოვა, რომ მისი ცოლისთვის სიცოცხლე მოესწრაფებინა, მაგრამ 47 ჭრილობა უფრო შურისძიებას ჰგავდა. სამართალდამცავები არ გამორიცხავდნენ, რომ მკვლელობას ფესვები რუსეთში ჰქონდა გადგმული და, უბრალოდ, მკვვლელმა შესაფერისი მომენტი, სწორედ საქართველოში იპოვა. გადამოწმების შემდეგ გაირკვა, რომ „გარადოკში“ მომსახურე ერთ-ერთი მაიორის ცოლი გარდაცვლილის კურსელი გახლდათ. ის საქართველოში, მკვლელობამდე ერთი კვირით ადრე ჩამოვიდა, თუმცა დახურულ ქალაქში მაცხოვრებლები ამბობდნენ, რომ მათ ურთიერთობა არ ჰქონდათ და არათუ მეგობრობდნენ, ერთმანეთს არც კი ესალმებოდნენ. რა თქმა უნდა, ისიც დაიკითხა.

„ჩვენ უახლოესი მეგობრები ვიყავით. მისი ქმარი თავიდან ჩემი საქმრო იყო, მერე მან წამართვა. ერთხელ, ნასვამი ჩაიგდო ხელში და მერე გამოუცხადა, დავორსულდი, თუ ცოლად არ წამიყვან, კარიერას დაგინგრევო. სინამდვილეში, ორსულად არ ყოფილა და მერე გაირკვა, რომ ბავშვიც არასდროს ეყოლებოდა. შემდეგ მეც გავთხოვდი და ეს ამბავი დავივიწყე, ამიტომ მისი მოკვლა არაფერში მჭირდებოდა. რაც შეეხება ურთიერთობას, რატომ უნდა მქონოდა ურთიერთობა ადამიანთან, რომელმაც მიღალატა?!“ – განაცხადა ქალმა და... მართალიც იყო.

დახურულ ქალაქში, თანაც როგორ ქალაქში მომხდარი მკვლელობის გამოუძიებლობა არა მარტო ქართული მხარის სირცხვილი იყო, არამედ, მთელ სამხედრო გარნიზონს თავი ეჭრებოდა. რაც მთავარია, მკვლელი ისევ იქ იყო, იქ ცხოვრობდა და არავინ იცოდა, რა საფრთხე შეიძლებოდა წამოსულიყო მისგან. ყველასთვის მოულოდნელად, რუსეთიდან საინტერესო დირექტივა წამოვიდა – წესით, მკვლელს მკვლელობის იარაღი ტერიტორიიდან არ უნდა გაეტანა, ამიტომ გადაწყდა, ყველა დანა ამოეღოთ, რასაც კი ნახავდნენ და ქიმიური ანალიზი ჩაეტარებინათ იმის გასარკვევად, რომელზე იყო სისხლის ნარჩენები მაინც. ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა საქმეში ადგილობრივი მილიცია ჩაერთო. ისინი მოულოდნელად შეიყვანეს ტერიტორიაზე და ჩხრეკა ჩაატარებინეს. ასობით დანამ თავი რამდენიმე ხის ყუთში მოიყარა, ყველას ეწერა, ვისი ბინიდან ამოიღეს და ქიმიური ანალიზის პროცესიც დაიწყო. სისხლიანი დანა მალე იპოვეს – ის გარდაცვლილი ქალის კარის მეზობელს ეკუთვნოდა, ქალს, რომლის ქმარიც მაიორი გახლდათ და რომელსაც ალიბი ჰქონდა. უფრო სწორედ, ცოლ-ქმარი ამტკიცებდა, ტერიტორიაზე ვსეირნობდით და მკვლელობის დროს, ხმაურს ვერანაირად გავიგებდითო. მათ სახლში საფუძვლიანი ჩხრეკა ჩატარდა და იმის მიუხედავად, რომ საგულდაგულოდ იყო გარეცხილი, ქალის ერთ-ერთ პერანგზე სისხლის ლაქებიც ნახეს. დიახ, ქალის და არა – კაცის. საქმეში კვლავ რუსი მაძებრები ჩაერთნენ და ეჭვმიტანილი ცოლ-ქმარი მეორე დღესვე მოსკოვში გადააფრინეს.

როგორც შემდეგ ყვებოდნენ, ქალი მეზობელთან დაუკაკუნებლად, შაქრის ნატეხის სათხოვნელად შევიდა და იქ საკუთარ ქმარს წაასწრო. კაცმა ჩაიცვა და ქალები ერთმანეთს შეატოვა. რა მოხდა მერე, დეტალურად არავინ იცოდა, მაგრამ ფაქტია, ერთმა ქალმა მეორეს დანა 47-ჯერ დაარტყა და მოკლა. იმასაც ამბობენ, როცა სასამართლო განხილვა მიდიოდა, მოსამართლეს ათასობით ქალმა მისწერა და დაკავებულის გათავისუფლება მოითხოვა, აქაოდა, ქმრის საყვარლის მკვლელს თუ არ დასჯით, დანარჩენებს შეეშინდებათ და ჩვენს ქმრებთან რომანს აღარ გააბამენო. რა თქმა უნდა, სასამართლომ ეს არ გაითვალისწინა და დაკავებულს 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, ქმარი კი ციმბირში, ერთ-ერთი ციხის ბადრაგად გაამწესეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივითა და საქართველოს მთავრობის დადგენილებით, პნევმატური იარაღის ბრუნვასთან დაკავშირებული წესები გამკაცრდა

საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით მომზადებული წესები, რომელთა მიხედვითაც, პნევმატური იარაღის ბრუნვასთან დაკავშირებული რეგულაციები გამკაცრდა.

მთავრობის შესაბამისი დადგენილების თანახმად, აიკრძალა პნევმატური იარაღის რეგისტრაციის გარეშე ტარება.

ახალი რეგულაციების საფუძველზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში, ტარების უფლებით რეგისტრაციას ექვემდებარება ის სანადირო ან სპორტული პნევმატური იარაღი, რომლის ლულის სიგრძე 30 სმ-ზე მეტია ან იარაღის საერთო სიგრძე აღემატება 60 სმ-ს. ასევე, დაუშვებელია პნევმატური იარაღისთვის განკუთვნილი იმ ჭურვის გამოყენება, რომლის ტექნიკური მახასიათებლები აღემატება 4.5 მმ კალიბრს.

საქართველოს მთავრობის დადგენილების თანახმად, რეგისტრაციას არ ექვემდებარება ელექტროპნევმატური იარაღი (Air Soft) და საღებავების სასროლი ბურთულების პნევმატური იარაღი (Paint Ball).

ამასთან, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით, დეტალურად გაიწერა პნევმატური იარაღის შენახვისა და ტარების წესი.

კერძოდ:

- რეგისტრირებული პნევმატური იარაღის ტარების უფლების მქონე პირი ვალდებულია, იარაღის ტარებისას პირადობის დამადასტურებელ საბუთთან ერთად, იქონიოს პნევმატური იარაღის სარეგისტრაციო მოწმობა;
- მოქალაქე ვალდებულია, პნევმატური იარაღი შეინახოს ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს უსაფრთხოება და გამოირიცხოს მასთან გარეშე პირთა დაშვება;
- პნევმატური იარაღი უნდა შეინახოთ დაკეტილ სათავსოში ან/და აღნიშნულ იარაღს დამაგრებული უნდა ჰქონდეს უსაფრთხოების საკეტი;
- პნევმატური იარაღის ტარება დასაშვებია მხოლოდ სპეციალური შალითით, განმუხტულ, ჭურვებისგან განცალკევებულ მდგომარეობაში;
- ტარების ზემოაღნიშნული წესი არ ვრცელდება სპეციალურად განსაზღვრულ ადგილებზე (ტირი, სასროლეთი, ნადირობისთვის დაშვებული ადგილები, დასახლებული პუნქტიდან 500 მეტრის რადიუსის მიღმა არსებული ტერიტორია).

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრულია პასუხისმგებლობა პნევმატურ იარაღთან დაკავშირებული სამართალდარღვევებისთვის.

კერძოდ:

- პნევმატური იარაღის რეგისტრაციის გარეშე ტარება იწვევს პირის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით;
- პნევმატური იარაღის ტარების წესების დარღვევა იწვევს პირის დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით;
- დასახლებულ ადგილას პნევმატური იარაღიდან სროლა იწვევს პირის დაჯარიმებას 500 ლარით ოდენობით;
- ისეთი პნევმატური იარაღის შეძენა, შენახვა, ტარება, საქართველოში შემოტანა ან საქართველოდან გატანა, რომელიც არ დაიშვება სამოქალაქო ბრუნვაში იწვევს პირის დაჯარიმებას 500 ლარით ოდენობით.

ზემოაღნიშნული ყველა სამართალდარღვევის ჩადენისას, განხორციელდება პნევმატური იარაღის კონფისკაცია.

პოლიციამ დიდუბეში მომხდარი დაჭრის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1994 წელს დაბადებული თ.ბ. ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგენილია, რომ ბრალდებულს თბილისში, მეტროსადგურ „დიდუბის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, სავარაუდოდ, ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფ, მისთვის უცნობ მამაკაცებთან ურთიერთშელაპარაკება მოუვიდა, რის ნიადაგზეც თ.ბ.-მ სამ პირს, ცივი იარაღის გამოყენებით, სხეულზე დაზიანებები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

დაჭრილი მამაკაცები საავადმყოფოში არიან გადაყვანილნი და შესაბამისი სამედიცინო დახმარება უტარდებათ.

სამართალდამცველებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული საგამოძიებო და სამძებრო მოქმედებების შედეგად, თ.ბ. დააკავეს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცებად ამოიღო.

ორი ან მეტი პირის მიმართ ჩადენილ განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებისთვის შშმ პირთა უფლებებისა და კომუნიკაციის სტანდარტის შესახებ ტრენერთა ტრენინგი ჩატარდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა უფლებებისა და კომუნიკაციის სტანდარტის შესახებ ტრენერთა ტრენინგში. ორდღიანი სწავლება შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ – ალექსანდრე დარახველიძემ, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მუდმივი წარმომადგენლის მოადგილემ, ანნა ჩერნიშოვამ და გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის (OHCHR) უფროსმა მრჩეველმა სამხრეთ კავკასიაში, ვლადიმირ შკოლნიკოვმა გახსნეს.

ტრენინგის მიზანს წარმოადგენდა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთათვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და მათთან კომუნიკაციის სტანდარტის შესახებ ცოდნის გაღრმავება და ტრენერთათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავება.

აღსანიშნავია, რომ გასულ წელს, პირველად, შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაამტკიცა შსს-ს სისტემაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2021 წლის სამოქმედო გეგმა, რომლის იმპლემენტაციის მიზნით, არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება განხორციელდა. მიუხედავად ამ მიმართულებით მიღწეული პროგრესისა, უწყებამ მიზანშეწონილად მიიჩნია, გადაიდგას პროაქტიური ნაბიჯები, რაც გულისხმობს სამართალდამცველების აღჭურვას შშმ პირთა უფლებებისა და მათთან კომუნიკაციის სტანდარტების შესახებ სათანადო ცოდნით. შესაბამისად, 2022 წელს, სამინისტრომ პრიორიტეტად დაისახა ამ მიმართულებით განახორციელოს მასშტაბური პროექტები.

ტრენერთა ტრენინგის მომდევნო ეტაპია კასკადური სწავლებები, რომელთა დაწყებასაც უწყება უახლოეს მომავალში გეგმავს. პირველ ეტაპზე, პრიორიტეტად განისაზღვრა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელთა გადამზადება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და კომუნიკაციის სტანდარტების შესახებ. კასკადური ტრენინგების განხორციელების შედეგად, გადამზადდება საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2200-მდე თანამშრომელი. სამომავლოდ, იგეგმება, რომ ტრენინგებს მიეცეს სისტემატური სახე და სამინისტროს სხვა შესაბამისი დანაყოფებიც მოიცვას.

სწავლება განხორციელდა სასწავლო მოდულის გამოყენებით, რომელიც შემუშავდა გაეროს განვითარების პროგრამისა და სამხრეთ კავკასიაში გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის მხარდაჭერით. სასწავლო მოდული მოიცავს შშმ პირთა უფლებების სამართლებრივ და ფსიქოლოგიურ ნაწილს.

აღსანიშნავია, რომ ტრენერთა ტრენინგში, გაეროს სააგენტოების კვალიფიციურ ექსპერტებთან ერთად, თანამომხსენებლები იყვნენ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან მოქმედი შშმ პირთა უფლებების საკონსულტაციო ჯგუფის წევრები.

სწავლების დასასრულს, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძემ, გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე ანნა ჩერნიშოვამ და გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის პროექტების მენეჯერმა, სოფიო ბენაშვილმა ტრენინგის მონაწილეებს სერტიფიკატები გადასცეს.

სწავლება განხორციელდა გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და სამხრეთ კავკასიაში გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის (OHCHR) მხარდაჭერით და გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ფონდის (SDG FUND) დაფინანსებით.

27 თებერვალი: საქართველო VS რუსეთი

რაგბი-ევროპის საკვალიფიკაციო ეტაპზე ის მატჩი მოახლოვდა, რომელსაც ქართველი გულშემატკივარი წლიდან წლამდე ელის. 27 თებერვალს, „დინამო არენაზე“ სათამაშოდ რუსი „დათვები“ ჩამოდიან. საქართველოს ეროვნული გუნდი ინტენსიურ მზადებას გადის და რამდენიც არ უნდა ვამტკიცოთ, რომ ამ შეხვედრას მხოლოდ სპორტული ხასიათი აქვს, ისედაც ყველასთვის ნათელია – ეს რიგით მატჩზე ბევრად მეტია. მხოლოდ ჩვენ კი არა, რუსებიც მოუთმენლად ელიან აღნიშნულ მატჩს და მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე, რუსთა სამხრეთ აფრიკელ დამრიგებელს, დიკ მუირის მთავარი კითხვა, სწორედ საქართველოზე დაუსვეს:

– „რაგბის ევროპის ჩემპიონატზე მომავალ მატჩს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. უკვე 20 წელია, ჩვენს ნაკრებს საქართველოსთან არ მოუგია. ამდენად, ყოველი ახალი მწვრთნელისთვის ქართველებთან მატჩს პრინციპული დატვირთვა აქვს. გვაქვს თუ არა მოგებაზე ფიქრის საფუძველი?“

დიკ მუირი: – „რასაკვირველია, საქართველოს ნაკრები ბევრ ასპექტში გაცილებით ძლიერია, მათ შორის, იმით, რომ მისი წევრები ევროპულ კლუბებში თამაშობენ. ჩვენ კიდევ ბევრი მუშაობა გვჭირდება, რათა მათ დონეს მივაღწიოთ. მოგების შანსი ყოველთვის არსებობს, თუმცა ჩემთვის მთავარი მაინც ისაა, რომ სწორი მიმართულებით ვიმოძრაოთ. ახლა, საკმაოდ კარგი შემადგენლობა გვყავს. რამდენიმე პოზიციაზე კონკურენცია გაჩნდა და ვფიქრობთ, მომავალ მატჩზე საკმაოდ ბრძოლისუნარიანი განაცხადით წარვსდგებით. რამდენიმე საჭირო მორაგბე ახლაც გვაკლია, თუმცა ეს კარგი შანსია, სხვები გამოვცადოთ. ჩემი აზრით, საკმაოდ მოძრავი შემადგენლობა გვეყოლება“.

ვერ გეტყვით, რას ამზადებს ან რის იმედადაა მუირი ამ მატჩისთვის, მაგრამ... 27 თებერვალს დამარცხება არ შეიძლება.

წყალბურთელებმა ევროპა გაინაღდეს

27 აგვისტოდან 10 სექტემბრამდე, ხორვატიაში, წყალბურთელთა შორის ევროპის ჩემპიონატი ჩატარდება. გასულ კვირას, ტურნირის შესარჩევი ეტაპი გაიმართა, საქართველოს ნაკრებს ხორვატიისა და შესაბამისად, კონტინენტის პირველობის ფინალური ეტაპის საგზურს ბელორუსის, პოლონეთისა და სლოვაკეთის ნაკრებები ეცილებოდნენ.

პირველ შეხვედრაში, ჩვენმა გუნდმა ბელორუსს შანსი არ დაუტოვა, 25:5 დაამარცხა, მეორე მატჩში, პოლონეთი 22:1 გაანადგურა და გადამწყვეტ შეხვედრაში სლოვაკეთს დაუპირისპირდა. თავის მხრივ, სლოვაკეთმაც მოახერხა ბელორუსისა და პოლონეთის დამარცხება და საქართველოსთან საგზურისთვის საბრძოლველად გავიდა. შეხვედრა ძალიან დაძაბული გამოდგა, საბოლოო ჯამში, საქართველოს ნაკრებმა 18:16 იმარჯვა და გადამწყვეტ ქულებთან ერთად, ევროპის ჩემპიონატის საგზურიც მოიპოვა.

ბათუმმა სუპერთასიც მოიგო

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ამ კვირაში აიღებს სტარტს, თუმცა შეგვიძლია, სეზონი უკვე გახსნილად გამოვაცხადოთ. 20 თებერვალს, ქუთაისში, საქართველოს სლავა მეტრეველის სახელობის სუპერთასის გათამაშებაში, ერთმანეთს ქვეყნის ჩემპიონი, ბათუმის „დინამო“ და თასის მფლობელი, თბილისის „საბურთალო“ დაუპირისპირდნენ. შეხვედრა ძალიან დაძაბული გამოდგა და ძირითადმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა. საქმე პენალტების სერიამდე მივიდა და მატჩის გმირად ზღვისპირელთა კიპერი, ლაზარე კუპატაძე მოგვევლინა, რომელმაც სამი პენალტი მოიგერია და სუპერთასის მოგებაში ლომის წილი დაიდო.

ბათუმის „დინამომ“ სუპერთასი ისტორიაში მეორედ მოიგო და საქართველოს ჩემპიონატის ახალ სეზონთან ერთად, გუნდი ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპისთვისაც აქტიურად ძლიერდება. როგორც კლუბის ხელმძღვანელები გვპირდებიან, მთავარი მიზანი ევროტურნირების ჯგუფურ ეტაპზე გასვლაა და იმედია, 2004 წლის შემდეგ, ამას კიდევ ერთხელ მივაღწევთ. დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში, ჯგუფურ ეტაპზე ერთადერთხელ, 2004 წელს, თბილისის „დინამომ“ ითამაშა. მაშინ დედაქალაქურ გუნდს ბათუმელთა ამჟამინდელი თავკაცი, გია გეგუჩაძე წვრთნიდა.

ორი ოქრო ისრაელიდან

მას შემდეგ, რაც ძიუდოისტთა ნააკრების კაპიტანმა, ვარლამ ლიპარტელიანმა კარიერის დასრულების შესახებ განაცხადა, ბევრი ფიქრობდა, რომ -100 კილოგრამში, საქართველოს პრობლემები ექნებოდა, რადგან ამ წონაში, ძირითადად, ახალგაზრდები ჭიდაობენ. ამის მიუხედავად, არაერთი სპეციალისტი ამბობდა, რომ 20 წლის ილია სულამანიძე, სულ მალე დაიმკვიდრებდა ადგილს არა მარტო ეროვნულ გუნდში, არამედ, დიდ ტურნირებზეც ფავორიტის სტატუსით ჩავიდოდა. შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე, ილიას მიერ მოპოვებულმა ბრინჯაოს მედალმა ამის რწმენა უფრო შეგვმატა და აგერ, გასულ კვირას, თელ-ავივში გამართულ გრან-პრიზე, ილიამ საოცრად იჭიდავა, ყველა შეხვედრა დამაჯერებლად მოიგო, რაც მთავარია, ბეჭებზე სახელოვანი და გამოცდილი მეტოქეები გააკრა და ოქროს მედალი მოიპოვა.

პირველობა არავის დაუთმო მძიმე წონაში მოასპარეზე გურამ თუშიშვილმაც. ილიას დარად, გურამმაც დამაჯერებლად იასპარეზა და ფინალში ერთ-ერთი ტიტულოვანი და ყველაზე გამოცდილი მეტოქე, ბრაზილიელი რაფაელ სილვა დაამარცხა. ბიჭების ოქრომდე, პირველობის შანსი ეთერ ლიპარტელიანსაც ჰქონდა, თუმცა, სამწუხაროდ, მან გადამწყვეტი შეხვედრა წააგო და ვერცხლის მედალს დასჯერდა.

ბასილაშვილმა დოჰა მეორედ ვერ მოიგო

ნიკოლოზ ბასილაშვილი შარშანდელის დარად, დოჰას 250-ქულიანი ტურნირის ფინალში გავიდა და რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, შარშანდელივით, გადამწყვეტ შეხვედრაში, კვლავ ესპანელ რობერტო ბაუტისტა აგუტს დაუპირისპირდა. მსოფლიო რეიტინგში აგუტი მე-16 პოზიციას იკავებს, ნიკო – 22-ეა, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ შარშან, სწორედ ჩვენებურმა იმარჯვა, ფავორიტადაც ის ითვლებოდა. სამწუხაროდ, ბასილაშვილმა შეხვედრა მარტივად, ორ სეტში, 3:6 და 4:6 დათმო.

„ვულოცავ რობერტოს, საბოლოო ჯამში, შემიძლია, ტურნირი პოზიტიურად შევაფასო. ვულოცავ მის ლამაზ ოჯახს ამ გამარჯვებას, მადლობა ჩემს გუნდს, ბედნიერი ვარ, რომ ჩემი მხარდამჭერები ხართ, მადლობა სპონსორებს, დიდი მადლობა დამსწრე აუდიტორიას, ძალიან კარგი გარემოა და მიყვარს აქ ჩამოსვლა“, – განაცხადა ნამატჩევს ბასილაშვილმა. ცნობისთვის, ბასილაშვილმა ფინალში გასვლისთვის 80 410 დოლარი გამოიმუშავა.

ბოლქვაძემ გერმანიაში იპირველა

გასულ კვირას, გერმანიის ქალაქ ალტერკირჰენში, საერთაშორისო ტურნირი დასრულდა. მისი საპრიზო ფონდი 60 ათას დოლარს შეადგენდა და ჩვენთვის საინტერესო იმით იყო, რომ წყვილთა და ერთეულთა თანრიგებში, ბედს მარიამ ბოლქვაძე სცდიდა. სამწუხაროდ, ერთეულთა თანრიგში, მარიამმა ფინალში ვერ გააღწია, ნახევარფინალში დამარცხდა, თუმცა წყვილთა თანრიგში, ბრიტანელ სამანტა მარი შერანთან ერთად, ფინალამდე მივიდა, იქ კი შვეიცარიელების დუეტი ბანდეჩი/ვალვერტი, ანგარიშით 6:3 და 7:5 დაამარცხა.

მართალია, ტურნირი არ არის იმ დონის, ზარებს შემოვკრათ, მაგრამ წარმატება მაინც მნიშვნელოვანია და რაც მთავარია, ბოლქვაძეს ევროპელი თუ ამერიკელი ექსპერტები დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

„რეალი“ თუ 60 მილიონი?!

საფრანგეთის ნაკრებისა და „პარი სენ ჟერმენის“ ვარსკვლავ კილიან მბაპეს კლუბთან კონტრაქტი უმთავრდება და ზეპირი შეთანხმების საფუძველზე, მადრიდის „რეალის“ მაისური უნდა მოირგოს. წესითა და რიგით, „სამეფო გუნდში“ თამაში ყველას სურს და გამონაკლისი არც მბაპე გახლავთ, თუმცა ფრანგული კლუბი არაბი შეიხის მფლობელობაშია და ის მზადაა, 23 წლის ფეხბურთელს გუნდში დარჩენის სანაცვლოდ, თვეში 5 მილიონი ევრო ანუ წლიურად 60 მილიონი შესთავაზოს. „რეალი“ კი ამის ნახევარსაც არ იხდის და მბაპეც საგონებელში ჩავარდა.

სანამ ახალგაზრდა ფეხბურთელი ფიქრობს, ესპანეთიდან მის აგენტს დაუკავშირდნენ და უთხრეს, რომ ზაფხულში კილიანი ან „რეალში“ გადავა ან ის ამ კლუბის მაისურს არასოდეს მოირგებს. არადა, მბაპეს ოცნება, სწორედ რომ „რეალში“ თამაში გახლავთ, თუმცა აქეთ უზარმაზარი თანხა დევს სასწორზე. თავად განსაჯეთ, 23 წლის ბიჭმა პარიზელებთან ხელშეკრულება 5 წლით რომ გაახანგრძლივოს, 300 მილიონ ევროს გაინაღდებს.

„ფეხბურთელის აგენტმა მადრიდელებს შეუთვალა, რომ მბაპე „პარი სენ ჟერმენთან“ ორწლიან კონტრაქტს გააფორმებს და ესპანეთში მერე გადავა, თუმცა „რეალი“ უარზეა და კატეგორიულად ითხოვს დაკონკრეტებას – ან ამ ზაფხულს, ან – არასოდეს“, – წერს ფრანგული მედია და ვნახოთ, გაანათებს თუ არა ფული ამჯერად ჯოჯოხეთს.

როგორც იქნა – უილშირმა კარიერა განაახლა

ჯეკ უილშირი ის კაცია, ვინც თავის დროზე, ლონდონის „არსენალის“ კაპიტანი გახლდათ და ინგლისის ნაკრებში 10-ნომრიანი მაისური ეცვა, თუმცა 2021 წლის სეზონის ბოლოს, მოულოდნელად, ყველაფერი დასრულდა. 29 წლის ფეხბურთელის დამატება არავინ მოისურვა. ჰო, არავინ, არ გამოჩნდა გუნდი, რომელსაც უილშირი დასჭირდებოდა და ეს იმის მიუხედავად, რომ ფეხბურთელი არასდროს ყოფილა შემჩნეული დისციპლინის დარღვევაში და რაც მთავარია, მოედანზე სარგებელი აშკარად მოჰქონდა.

„არც კი ვიცი, რა ვიფიქრო, შვილი მეკითხება, რატომ აღარ ვთამაშობ ფეხბურთს და მე პასუხი არ მაქვს“, – აცხადებდა ცოტა ხნის წინ უილშირი.

ახლა კი გაირკვა, რომ ფეხბურთელი კარიერას დანიურ „ორჰუსში“ გააგრძელებს. მართალია, „ორჰუსი“ უძლიერესი გუნდი ნამდვილად არაა და 18 ტურის შემდეგ, დანიის ჩემპიონატში მეშვიდე პოზიციას იკავებს, მაგრამ უილშირისთვის ახლა მთავარი თამაში და იმის დამტკიცებაა, რომ ნაადრევად ჩამოწერეს. ჰო, მის პრეზენტაციას „ორჰუსის“ სტადიონზე იმაზე მეტი გულშემატკივარი დაესწრო, ვიდრე მატჩებზე დადის და ინგლისელს კლუბმა 10-ნომრიანი მაისური დიდი იმედით მოარგო.

როგორ გახდა მსახიობობაზე მეოცნებე გოგონა მხატვარი

ია გრიგალაშვილი

მხატვრობა უნიკალური ნიჭის გამოვლინება, თვითგამოხატვისა და ესთეტიური ტკბობის საშუალებაა, თუმცა ამ ნიჭის მქონე ადამიანებს დროულად და შესაბამისად ვერ ვაფასებთ. შესაბამისად, უამრავი მხატვარი ცდილობს, თავი დაიმკვიდროს და საკუთარი შემოქმედება ჩვენამდე მოიტანოს. „ვერსია" გთავაზობთ ინტერვიუს ერთ-ერთ მხატვართან, ბელა ანანიძესთან, რომელიც არაჩვეულებრივ ნამუშევრებს ქმნის.

ბელა ანანიძე: „აღიარეთ სხვისი ნიჭიერება და არ დაკარგოთ ინდივიდუალურობა!"

– ბელა, ხატვა როდის დაიწყეთ, როგორ აღმოაჩინეთ, რომ ხატვის ნიჭი გქონდათ?

– ბავშვობაში ვთვლიდი, რომ ისე ვხატავდი, როგორც ყველა ბავშვი ანუ არ ვფიქრობდი, რომ სხვებისგან გამორჩეული ნიჭი მქონდა. 10 წლის ვიყავი, როდესაც სკოლის ხატვის მასწავლებელმა მირჩია, სამხატვრო სკოლაში მივსულიყავი, მაგრამ მაშინ მსახიობობაზე ვოცნებობდი და ხატვას ისე ვუყურებდი, როგორც ერთ-ერთ სასკოლო საგანს. თეატრალურში ჩაბარების უფლება დედამ არ მომცა, რამაც უდიდესი პროტესტი გამიჩინა და განვუცხადე, საერთოდ არსად ჩავაბარებ-მეთქი. 23 წლის ასაკში, ხატვის ტექნიკის შესწავლა მომინდა, თუმცა სამხატვრო აკადემიაში ჩაბარებაზე არც მიფიქრია. უბრალოდ, მინდოდა, ჩემთვის მეხატა და ის გადმომეცა, რასაც ვგრძნობდი. ამ მიზნით, პედაგოგთან მივედი. ორი გაკვეთილის შემდეგ მითხრა, რომ შემეძლო, აკადემიაში ჩაბარებაზეც მეფიქრა. ცოტა არ იყოს, გამიკვირდა, თან ეს აზრი მომეწონა. 25 წლის ასაკში, სამხატვრო აკადემიის სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის სტუდენტი გავხდი.

– ასე იქცა ხატვა თქვენს პროფესიად?

– სწავლის პერიოდი ხატვის ძირითადი ტექნიკის შესწავლას დაეთმო, შემოქმედებითი მიდგომა ცოტა გვიან დაიწყო. მერე, უმძიმესი ფინანსური მდგომარეობის გამო, მუზების მიძინების პერიოდი მქონდა და აუცილებლად მჭირდებოდა სტაბილური შემოსავალი. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ნახატები მაშინაც იყიდებოდა, ეს სტაბილური შემოსავლის წყარო არ იყო. ამიტომ, დიდი ხნით მომიწია ჩემი პროფესიის დათმობა. ნებისმიერ სამსახურზე თანახმა ვიყავი, შვილების გამოსაკვებად. ასე ჩაანაცვლა ხატვა დამლაგებლობამ ერთ-ერთ ტელევიზიაში. მაშინ მეგონა, რომ ხატვას თავი სამუდამოდ დავანებე და 15-წლიანი შემოქმედებითი კლინიკური სიკვდილი განვიცადე. წლების მერე, ისევ დავიწყე ხატვა. ახლა უფრო მეტად ვაფასებ ჩემს პროფესიას და სამყაროს მიმართ მადლიერი ვარ, რომ ეს ბედნიერება მომცა.

– ბელა, წეღან თქვით, ფინანსური პრობლემები მქონდა და ნახატების გაყიდვით ამას ვერ დავძლევდიო. როგორ ფიქრობთ, საქართველოში ხელოვნება შესაბამისად არ ფასდება?

– ვფიქრობ, საქართველოში, ზოგადად, ცხოვრებაა რთული, მათ შორის, ხელოვანისაც, მით უფრო მაშინ, როდესაც მარტო ცდილობ გზის გაკვალვას. მიუხედავად ყველაფრისა, ყველაზე დიდი კომფორტი ამ პროფესიაში თავისუფლებაა. არც უფროსი გყავს, არც – ხელქვეითი. ჩემი ნატურის ადამიანისთვის ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

– რისი გადმოცემა გსურთ ნახატებით?

– ჩემი პერსონაჟების უმეტესობა სევდიანია. ეს ჩემგან ერთგვარი სოლიდარობა და სიყვარულია სევდიანი ადამიანების მიმართ. პერსონაჟების გამო, ხშირად ჰგონიათ, რომ თავად ვარ სევდიანი. სინამდვილეში, სევდაცა და სიხარულიც, თითქმის, თანაბრადაა ჩემში.

– არის თუ არა კონკრეტული სტილი ან თემა, რომელზე მუშაობისას, თავს ყველაზე კომფორტულად გრძნობთ?

– განსხვავებული პერიოდები მაქვს. ზოგჯერ, იმდენად განსხვავდება ჩემი ნამუშევრები ერთმანეთისგან, არც კი ჰგონიათ, რომ ერთი ავტორისაა.

– ყველაზე საყვარელი ნახატი თუ გაქვთ და რა ემოცია გაკავშირებთ მასთან?

– ვერ გამოვარჩევ საყვარელ ნახატს, თითოეული შვილებივითაა. ხატვის პროცესი ყველაზე მნიშვნელოვანი მგონია. ასე რომ არ იყოს, ნახატს ვერ გავიმეტებდი გასაყიდად.

– რა არის თქვენთვის ხელოვნება და მასში ყველაზე მეტად რა მოგწონთ?

– ჩემს საქმიანობაში ყველაზე მეტად მიყვარს თავისუფლება და იმ ადამიანების ბედნიერი თვალები, რომლებიც ჩემი ნამუშევრების მფლობელები ხდებიან.

– ბელა, ხშირად იყიდება ნახატები?

– როგორ სტილშიც ახლა ვმუშაობ, ჩანს, განსაკუთრებით მოსწონთ მხატვრობის მოყვარულებს და ამისთვის მადლობა, მათ. იმდენად ხშირად იყიდება, რომ ჯერჯერობით, ერთი ნახატიც ვერ დავიტოვე ჩემთვის.

– რა გეგმები გაქვთ და რას ისურვებდით ყველაზე მეტად?

– გეგმები გაწერილი არ მაქვს, რადგან ხშირად იცვლებიან. ყველაზე მეტად ის მინდა, რომ ჩვენი ქვეყანა ნამდვილად თავისუფალი, განვითარებული და ბედნიერი იყოს.

– რას ურჩევთ დამწყებ ხელოვანებს?

– ყოველთვის აღიარონ სხვისი ნიჭიერება და არ დაკარგონ ინდივიდუალურობა!

ძაღლი ფულს ხატვით შოულობს

ჩრდილოეთ კაროლინას პატარა ქალაქში ცხოვრობს ავსტრალიური ნაგაზი, რომელიც უკვე შვიდი წელია, ხატავს. მისი პატრონი, ლიზა კი ამ ტილოებს მთელ მსოფლიოში ჰყიდის. ცნობილია, რომ ძაღლის შემოქმედებიდან ყველაზე ძვირადღირებული – 360 გირვანქა სტერლინგად გაყიდული ნახატია. ოთხფეხა მეგობრის ჰობით, მისმა პატრონმა დღემდე 15 ათას გირვანქამდე იშოვა.

ნაგაზს, რომელსაც ივი ჰქვია, ყველა ძირითად ბრძანებას ასრულებს, თუმცა ამის გარდა, მას თეთრეულის დახარისხება, თათების გაწმენდა და მონეტების ქილაში ჩაყრაც შეუძლია. ლიზა ამბობს, რომ ძაღლის შემოქმედების ნაწილი გააჩუქა, მერე კი მისი გაყიდვა დაიწყო და გაოცებული დარჩა, იმდენი მსურველი გამოჩნდა. ნახატებიდან შემოსული თანხის დიდ ნაწილს ნაგაზის პატრონი საქველმოქმედო ორგანიზაციებს ჩუქნის.

სუნამო კარტოფილი „ფრის“ არომატით

ამერიკელმა ფერმერებმა აიდაჰოს შტატიდან, სუნამო შექმნეს, რომელსაც კარტოფილი „ფრის“ არომატიც აქვს. ახალ სუნამოს Frites by Idaho უწოდეს. მისი საფუძველი კარტოფილის ეთერზეთებია. პარფიუმი მოყვითალო ფერისაა – ის შემწვარი კარტოფილის ქერქს მოგაგონებთ, მისი ფასი 1.5 დოლარია, რაც კარტოფილი „ფრის“ ერთი პორციის ფასზე მიგანიშნებთ. ერთი ფლაკონის მოცულობა 50 მილილიტრია. ახალი არომატის ყიდვა ერთი თვის განმავლობაში იქნება შესაძლებელი. თუ მომხმარებელს მოეწონება, ფერმერები მას ხელახლა გამოუშვებენ და სრულიად ახალ, გამომცხვარი კარტოფილის არომატის მქონე სუნამოსაც შესთავაზებენ.

უარი – ტუალეტის ქაღალდს

დადგა დრო, უარი ვთქვათ ტუალეტის ქაღალდზე და ყურადღება ჰიგიენის ალტერნატიულ მეთოდებზე გადავიტანოთ, – მოუწოდებს თანამემამულეებს ერთ-ერთი გერმანული გამოცემა. ამ გამოცემის მონაცემებით, ქვეყანაში, ყოველი ოჯახი წელიწადში 93 რულონ ქაღალდს მოიხმარს და უნიტაზში ტონობით ქაღალდი იყრება, რაც აბინძურებს ჩვენს პლანეტას. ამასთან, არაეკონომიურია მისი წარმოებაც – კომპანიები უარს ამბობენ ძველი ქაღალდის გამოყენებაზე და ახალ, ხის მასალას ყიდულობენ. მედიის წარმომადგენლები მოსახლეობას მოუწოდებენ, ბიდე გამოიყენონ. ამ შემთხვევაში, მხოლოდ წყალი დაიხარჯებაო.

უდიდესი შავი ბრილიანტი გაიყიდა

მსოფლიოში ყველაზე დიდი შავი ბრილიანტი „ენიგმა“, აუქციონზე 3 მილიონ გირვანქა სტერლინგად გაიყიდა. ვაჭრობა Sotheby’s-ის აუქციონის სახლმა მოაწყო, ძვირფასი ქვის მყიდველმა კი ანონიმად დარჩენა ისურვა. აღსანიშნავია, რომ გასაყიდად გატანის წინ, 555-კარატიანი ბრილიანტი დუბაიში, ლოს-ანჯელესსა და ლონდონში იყო გამოფენილი.

აუქციონის ორგანიზატორების თქმით, ჯერჯერობით, ძვირფასი ქვის წარმომავლობა დაუდგენელია – ზუსტად არავინ იცის, „ენიგმა“ როდის აღმოაჩინეს და ვინ იყო აქამდე მისი მფლობელი. აუქციონის სახლი მხოლოდ იმას აცხადებს, რომ ბრილიანტის ასეთი ტიპი ბრაზილიასა და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში გვხვდება.

ფეხბურთელი კატის ცემისთვის დააჯარიმეს

საფეხბურთო კლუბმა „ვესტ ჰემ იუნაიტედმა“ თამაშებიდან მოხსნა და 250 გირვანქა სტერლინგით დააჯარიმა მცველი კურტ ზუმა. მიზეზი კი ის გახდა, რომ ფეხბურთელმა საკუთარ კატას წიხლი ამოარტყა. ცხოველთა დაცვის სამეფო საზოგადოებამ სპორტსმენს მისი ორი კატა ჩამოართვა – ასეთი იყო ზოოდამცველების რეაქცია ზუმას საშინაო ვიდეოზე, რომელშიც ფეხბურთელი ცხოველს გატეხილ ვაზაზე მიანიშნებს, მას წიხლს არტყამს და აგდებს. ცხოველთა დაცვის სამეფო საზოგადოების წარმომადგენლებმა, ინციდენტის გამოსაძიებლად პოლიციას მიმართეს. საფეხბურთო კლუბმა კი, სადაც ზუმა თამაშობს, დააჯარიმეს და განაცხადეს, რომ თანხას ცხოველთა დაცვის საქველმოქმედო ფონდებში გადარიცხავენ.

ზუმას წინააღმდეგ პეტიციას 150 ათასზე მეტმა ადამიანმა მოაწერა ხელი, კატის ცემის გამო, მასთან კონტრაქტი გაწყვიტა სპორტული ტანსაცმლის ერთ-ერთმა მსხვილმა მწარმოებელმა. „ვესტ ჰემის“ ერთ-ერთმა სპონსორმაც უარი თქვა კლუბის დაფინანსებაზე, ვიდრე არ გაირკვევა, რას გადაწყვეტენ მცველთან დაკავშირებით. კლუბში აცხადებენ, რომ კურტი ძალიან ნანობს მომხდარზე, მაგრამ მის საკითხს მთელი სერიოზულობით განიხილავენ. რაც შეეხება ზუმას კატებს, ისინი ვეტერინარმა გასინჯა და მათ ჯამრთელობას არაფერი ემუქრება. აღსანიშნავია, რომ დიდ ბრიტანეთში, ცხოველთან სასტიკი მოპყრობა, გარდა დიდი ჯარიმებისა, ხუთ წლამდე პატიმრობასაც ითვალისწინებს.

მოსწავლემ აპლიკაცია „ანტიბულინგი“ შექმნა

13 წლის ინდოელმა მოსწავლემ, ანუშკა ჯოლიმ ციფრული პლატფორმა და მობილური აპლიკაცია შექმნა სკოლებში ბულინგთან საბრძოლველად და დაახლოებით, 67 ათასი დოლარის დაფინანსება მოიპოვა. გოგონას თქმით, ის 9 წლის იყო, როცა მისი თანაკლასელები უფრო პატარა გოგონას დასცინოდნენ და შეურაცხჰყოფდნენ.

„მივხვდი, რამდენად გავრცელებულია ეს პრობლემა, რომელიც ბავშვების დიდ რაოდენობას აწუხებს“, – აცხადებს ჯოლი. გოგონამ ორიოდე წლის წინ გადაწყვიტა, სკოლის მოსწავლეებისა და მათი მშობლებისთვის პლატფორმა Anti Bullying Squad შეექმნა, სადაც ბულინგის შემთხვევებზე ინფორმაციას ანონიმურად აწვდიან. ახლა კი გოგონას ძალისხმევით, მობილური აპლიკაციაც („კავაჩი“) მზადაა, ინციდენტების შესახებ ანონიმურად შესატყობინებლად. ინდოეთში, ანუშკა პროგრამა Shark Tank India-ს ყველაზე პატარა მონაწილე გახდა და საკუთარი სტარტაპისთვის 5 მილიონი რუპიაც (დაახლოებით, 67 ათასი დოლარი) იშოვა. ჯოლის პლატფორმა ქვეყანაში უკვე 2 ათასზე მეტ მოსწავლეს დაეხმარა ბულინგის შემთხვევების გამოვლენაში.

ხახვი აღარ აგაცრემლებთ

გერმანულმა კომპანიამ BASF-ი, ხახვის ახალი ჯიში – "უცრემლო" Sunion-ი გამოიყვანა. ახალი ბოსტნეული გერმანიის სუპერმაკეტების თაროებზე მიმდინარე თვიდან გამოჩნდება. გასული წლის დეკემბრიდან, უცრემლო ხახვი ხელმისაწვდომია იტალიის მოსახლეობისთვის, სულ მალე კი ახალ ბოსტნეულს საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის მოსახლეობაც შეიძენს. ამ ჯიშის ხახვზე გერმანელი სპეციალისტები 30 წელიწადი მუშაობდნენ. "უცრემლობის" გარდა, მისი უპირატესობა ისიცაა, რომ დაძველების შემდეგ, პროდუქტი უფრო კარგ გემოს იღებს.

ინდოეთში ქალთევზა დაიბადა

ინდოეთში ახალგაზრდა ქალმა ბავშვი გააჩინა, რომელსაც ერთმანეთთან შეზრდილი ფეხები და განუვითარებელი წელი ჰქონდა. დაბადებიდან ოთხი საათის შემდეგ, ახალშობილი გარდაიცვალა. ბავშვს სირენომელიის ანუ ქალთევზას სინდრომი დაუდგინდა. პატარას სქესის განსაზღვრა მედიკოსებმა ვერ მოახერხეს, რადგან მას საერთოდ არ ჰქონდა განვითარებული გარეგანი სასქესო ორგანოები. ადგილობრივი მედიის ცნობით, ბავშვის დედა, 23 წლის ქალი, ფეხმძიმობისას არ იყო ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ და არ იცოდა ნაყოფის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. როგორც დადგინდა, მშობიარესა და მის მეუღლეს არ ჰქონდათ თანხა სამედიცინო მომსახურებისთვის. აღსანიშნავია, რომ ინდოეთში ქალთევზას სინდრომის ეს უკვე მეორე რეგისტრირებული შემთხვევაა. წლების წინ, პერუშიც დაიბადა "ქალთევზა" მილაგროს სერონი. რამდენიმე ქირურგიული ოპერაციის შემდეგ, გოგონამ სიარული შეძლო.

დაფეხმძიმებაში სასტუმროს ნომერს აჩუქებენ

კანადაში მდებარე სასტუმრო Zed-მა, წყვილებს უჩვეულო გარიგება შესთავაზა. 18 წლის მანძილზე, ამ სასტუმროში უფასოდ იცხოვრებს ის წყვილი, რომელმაც მოასწრო და 14 თებერვალს, სასტუმროს კედლებში ბავშვის ჩასახვა შეძლო. სხვათა შორის, ამგვარი შანსი ექნება ნებისმიერ წყვილს, რომელიც ვალენტინობისთვის, ამ ოტელში, ოთხი საათით დაჯავშნის ნომერს, რომლის ღირებულება 45 დოლარია.

სასტუმროს დირექტორის თქმით, ამ წინადადებით, ისინი არაფერს აიძულებენ იმ წყვილებს, რომლებსაც შვილის ყოლა არ სურთ, ხოლო მათ, რომლებსაც ბავშვების გაჩენა სურთ, რატომ არ უნდა სცადონ ბედი? აღსანიშნავია, რომ რამდენიმე წლის წინ, მსგავსი შეთავაზება ჰქონდა იტალიაში, ქალაქ ასიზიში მდებარე სასტუმროსაც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ბავშვის ჩასახვის მცდელობა მხოლოდ ვალენტინობის დღით არ შემოიფარგლებოდა.

ახალი აბი გასახდომად

უახლოეს წლებში, ბაზარზე გამოვა მცენარეული წარმოშობის საკვები დანამატი, რომელიც ეფექტიანად შეუწყობს ხელს წონაში კლებას, – ამის შესახებ, ახალზელანდიელმა მკვლევარებმა განაცხადეს. სპეციალისტებმა ათასამდე მცენარეული ექსტრაქტის კვლევა ჩაატარეს და ბოლოს, იმ სუბსტანციის გამოყოფა შეძლეს, რომელიც ადამიანს დანაყრების შეგრძნებას უჩენს. შესაბამისად, ადამიანი უკვე ნაკლებს მიირთმევს, რადგან მეტის სურვილი აღარ ექნება. ეს კი წონაში დაკლებას შეუწყობს ხელს.

პრეპარატის წინასწარი ტესტირება 19 მოხალისე მამაკაცზე ჩატარდა. მათ ამ საკვებ დანამატს საუზმის წინ აძლევდნენ, შემდეგ კი გემრიელი საჭმლის დიდი არჩევანი ჰქონდათ, საკონტროლო ჯგუფი კი პლაცებოს იღებდა. აღმოჩნდა, რომ მათ, რომლებმაც ახალი დანამატი მიირთვეს, 200 კალორიით ნაკლები მიიღეს, ვიდრე პლაცებოს ჯგუფმა. სპეციალისტების თქმით, ეს უკვე კარგი მაჩვენებელია. თუმცა, ახალზელანდიელების პროექტი ჯერ კიდევ შემუშავების პროცესშია და სამ-ოთხ წელზე ადრე, ახალი „გასახდომ აბებს“ არ უნდა ველოდოთ.

კორეის ლიდერმა მებაღეები დასაჯა

ჩრდილოეთ კორეელ ფერმერებს, რომლებსაც ყვავილები მოჰყავთ, მასობრივად უშვებენ შრომით ბანაკებში. საქმე ის არის, რომ კიმ ჩენ ინის მამის – ქვეყნის ყოფილი ლიდერის, კიმ ჩენ ირის დაბადების დღისთვის, ამ მებაღეებმა წითელი ბეგონიები ვერ ააყვავეს. ამ დროს, ჩრდილოეთ კორეის ქალაქები „კიმჯონგილიებით“ – წითელი ფერის ბეგონიებით ირთვება ხოლმე. წელს, ამ დღისთვის, ტრადიციულად, ხელისუფლებამ მებაღეებს ათასობით ყვავილი შეუკვეთა დღესასწაულისთვის, მაგრამ ფერმერები ვერ გაუმკლავდნენ ამ ამოცანას – ბეგონიები არ აყვავდა. მიზეზად კი შეშის დეფიციტს ასახელებენ, რომლითაც სათბურებს ათბობენ. ამის გამო, მებაღეები დასაჯეს და ექვსი თვით, შრომით ბანაკებში გაამწესეს.

სახლის შეღებვისთვის უჩივლეს

აშშ-ში, ქალაქ ნეიპლსის მცხოვრებლებმა მეზობელს მას შემდეგ უჩივლეს, რაც მან კაშკაშა ფერებით შეღება საკუთარი სახლის კედლები და ეზო. გარშემო მცხოვრებლებმა ვერ გაიგეს, რა საჭირო იყო 500 ათას დოლარად შეფასებული შენობის ასე წახდენა და მისი მფლობელის ნორმალურობაში ეჭვი შეიტანეს. 41 წლის ჯეფრი ლიბმანი კი მთელი კვირა „მუშაობდა“ – სახლის „მოსაწყენ“ ნაცრისფერ კედლებს, თითქმის ყველა სხვა ფერის საღებავი შეასხა. სახლის სახურავი ნარინჯისფერ, ვარდისფერ და ინდიგოს ფერებში გადაწყვიტა. ლიბმანს არც საკუთარი მანქანა დავიწყებია, რომელიც „მოძრავ ცისარტყელად“ აქცია. სახლის წინ, მწვანე ფერის ნაცვლად, მდელო მკვეთრად ლურჯი გახდა, ეზოში მდგარი პალმა კი ყვითელ-ვარდისფერ-ცისფერ ფერებად შეიღება. ქალაქის პრესტიჟული კვარტლის მცხოვრებლებმა არ დააფასეს ლიბმანის სახლის ახალი დიზაინი და სასამართლოში უჩივლეს. საქმე წარმოებაშია და რა შედეგით დასრულდება, მოგვიანებით გაირკვევა.

ნაბახუსევის მუზეუმი გახსნეს

ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებში, მსოფლიოში პირველი, ნაბახუსევის მუზეუმი გაიხსნა. ამ უჩვეულო ადგილის სტუმრები რეალურ ისტორიებს შეიტყობენ, რაც ალკოჰოლის მიღების შემდგომ მდგომარეობას უკავშირდება. დამთვალიერებელს შეუძლია, ნაბახუსევთან დაკავშირებული საკუთარი ამბებიც მოყვეს, ნახოს უჩვეულო ექსპონატები, ასევე, შეამოწმოს რეფლექსები, თუ სიმთვრალის ეფექტის მქონე სათვალეს გაიკეთებს. როგორც ამ დაწესებულების ორგანიზატორები ამბობენ, ნაბახუსევის მუზეუმის ძირითადი მიზანია, მეტი ინფორმაცია მიაწოდონ ადამიანებს ალკოჰოლური სასმელების მოხმარების ნეგატიური შედეგების შესახებ. მუზეუმში უფასოდ შეხვალთ, თუ „სიმთვრალის“ სათვალეს გაიკეტებთ, ისარს მოიმარჯვებთ და სამიზნეს „ცხრიანში“ გაარტყამთ, დანარჩენებისთვის შესვლა 4 ევრო ღირს.

ვაკანსია – გოჭების ჩამხუტებელი

სამხრეთ კაროლინაში მდებარე ცხოველთა თავშესაფარში ვაკანსია გამოცხადდა მოხალისეებისთვის, რომლებიც გოჭებს "სოციალიზაციაში" უნდა დაეხმარონ. ახალი თანამშრომლის მოვალეობაში შედის ცხოველების ჩახუტება და მოფერება, მათი დავარცხნა და ორცხობილებით დაპურება. თავშესაფრის მფლობელები მიიჩნევენ, რომ ეს დაეხმარება გოჭებს ადამიანებთან, ახალ პატრონთან შეჩვევაში. ამჟამად, ფერმაში, დახლოებით, 100 ღორი და სხვა უამრავი ცხოველია. მფლობელების თქმით, თუ ადამიანს სურს მათი ცხოველების დახმარება და მოხალისედ მუშაობას ვერ ახერხებენ, შეუძლიათ, გარკვეული ოდენობის თანხა გადარიცხონ ან ცხოველებისთვის რამე იყიდონ.

ჩაის მოყვარულებს კოშმარები არ ემუქრებათ

სწავლულები ამომავალი მზის ქვეყნიდან, აცხადებენ, რომ ჩაის მოყვარულებს ღამის კოშმარები არ ემუქრებათ. ჩაი დედამიწის მოსახლეობის უმრავლესობის, განსაკუთრებით აზიელების, საყვარელი სასმელია. ამის გამო, გასაკვირი არ არის, რომ სწორედ იაპონელებმა ჩაატარეს კვლევები, რომელთა შედეგებითაც გაარკვიეს, რა გავლენა აქვს ჩაის ადამიანის სიზმრებზე. აღმოჩნდა, რომ სასმელში არსებული ნივთიერება ტანინი, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში, აზიელი მკურნალები იყენებდნენ სამედიცინო პრაქტიკაში, პრაქტიკულად, რამდენჯერმე ამცირებს საშინელი სიზმრების ნახვის შესაძლებლობას. ცოტა ხნის წინ, სწავლულებმა ისიც გაარკვიეს, რომ მწვანე ჩაი განსაკუთრებით სასარგებლო ყოფილა მამაკაცებისთვის – ის მათ უფრო მობილიზებულსა და ჭკვიანს ხდის.

ხელოვნების სიყვარული სოცოცხლეს ახანგრძლივებს

სწავლულებმა ნისლიანი ალბიონიდან, დაადგინეს, როგორ გაზარდონ სიცოცხლის ხანგრძლივობა და გააუმჯობესონ ჯანმრთელობის მდგომარეობა ხანდაზმულ ასაკში. აღმოჩნდა, რომ საიდუმლო ხელოვნებისადმი სიყვარულშია. მათი კვლევების მიხედვით, ადამიანებში, რომლებიც წელიწადში ერთი-ორჯერ მაინც დადიოდნენ მუზეუმებში, კონცერტებსა და თეატრებში, 14%-ით ნაკლები იყო სიკვდილიანობა, უფრო ხშირი ვიზიტები კი სიკვდილის რისკს 31%-ით ამცირებდა.

სწავლულებმა 14-წლიანი კვლევა, 50 წელზე მეტი ასაკის 6 700 ადამიანზე ჩაატარეს და ასეთი შედეგები მიიღეს. ხელოვნებით დაინტერესებული ადამიანები უკეთ უმკლავდებოდნენ ემოციის რეგულაციასა და მეტი შემოქმედებითი პოტენციალი ჰქონდათ. ეს ყველაფერი, ცხოვრებისეულ ცვალებად გარემოებებთან ეფექტური ადაპტაციის საუკეთესო საშუალებაა.

ვახტანგ გომელაურმა რეგიონების პოლიციის დეპარტამენტების ხელმძღვანელებთან სამუშაო თათბირი ჩაატარა

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა საქართველოს რეგიონების პოლიციის დეპარტამენტების ხელმძღვანელებთან სამუშაო თათბირი გამართა. პოლიციის დეპარტამენტების დირექტორებთან შეხვედრას მინისტრის პირველი მოადგილე, შალვა ბედოიძე დაესწრო.

ვახტანგ გომელაურმა ყურადღება გაამახვილა დანაშაულთან ბრძოლის შედეგების მთავარ ინდიკატორებსა და საზოგადოების უსაფრთხოების საკითხებზე.

შინაგან საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ გასულ, 2021 წელს, დანაშაულის რაოდენობის კლება გაგრძელდა, გახსნის მაჩვენებელმა კი მნიშვნელოვნად მოიმატა – 35.5%-დან 49.8%-მდე გაიზარდა.

ვახტანგ გომელაურმა დანაყოფების ხელმძღვანელებთან, ასევე ისაუბრა არსებული გამოწვევების, ინფრასტრუქტურული შესაძლებლობების გაუმჯობესებისთვის საჭირო სამუშაოებისა და რეგიონებში პრევენციული საპოლიციო ღონისძიებების შესახებ.

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ერთობლივი ეფექტიანი საქმიანობისთვის, თანამშრომლებს მადლობა გადაუხადა და განაცხადა, რომ დანაშაულთან ბრძოლის მიმართულებით, კომპლექსური ღონისძიებები 2022 წელსაც აქტიურად გაგრძელდება.

ალექსანდრე დარახველიძემ ევროპის საბჭოს პროექტის დახურვის ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ალექსანდრე დარახველიძემ ევროპის საბჭოს პროექტის – „დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში“ – დახურვის ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა და პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები, გამოვლენილი გამოწვევები და მიღწეული პროგრესი შეაჯამა.

მინისტრის მოადგილემ მოხსენებაში ხაზი გაუსვა, რომ დისკრიმინაციისა და შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. ალექსანდრე დარახველიძემ მადლობა გადაუხადა ევროპის საბჭოს, ამ მიმართულებით, სამინისტროსთვის აღმოჩენილი უწყვეტი მხარდაჭერისთვის.

მინისტრის მოადგილემ განსაკუთრებით გამოყო უწყების წარმომადგენელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით განხორციელებული მასშტაბური სწავლებები, რამაც გამოძიების ხარისხი მნიშვნელოვნად გაზარდა. მან ყურადღება გაამახვილა ევროპის საბჭოს ჩართულობით, უზენაეს სასამართლოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, გენერალურ პროკურატურასა და სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების ფაქტზე, რომლის საფუძველზეც, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების შესახებ სტატისტიკის ერთიანი მეთოდოლოგიით წარმოება დაინერგა.

შეხვედრის დასასრულს, მხარეებმა მზადყოფნა გამოთქვეს სამომავლო თანამშრომლობის გაგრძელებაზე.

ევროპის საბჭოს აღნიშნული პროექტი, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სხვა პარტნიორ უწყებებს შორის მჭიდრო თანამშრომლობით, 2018 წლიდან ხორციელდება. მისი მიზანია, დისკრიმინაციის, სიძულვილის ენისა და სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულების შესახებ გამოცდილების გაზიარება, ცნობიერების ამაღლება და საქართველოს კანონმდებლობის ევროპის სტანდარტებთან ჰარმონიზაცია.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსთან აქტიური თანამშრომლობით, თბილისში, თაღლითობის ბრალდებით ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის მთავარმა სამმართველოს თანამშრომლებმა, ინტენსიურ რეჟიმში ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსთან აქტიური თანამშრომლობით, დიდი ოდენობით ჩადენილი თაღლითობის ბრალდებით, 1990 წელს დაბადებული ს.ფ. თბილისში დააკავეს.

დანაშაული 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული ქალი საქართველოს მოქალაქეებს – მ.შ.-სა და ჯ.გ.-ს, გარკვეული თანხის გადახდის სანაცვლოდ, ამერიკის შეერთებულ შტატებში გასამგზავრებელი ბილეთების შეძენას, აშშ-ში საცხოვრებლით, ასევე, სამსახურით უზრუნველყოფასა და სამუშაო ვიზების დამზადებას დაჰპირდა.

ბრალდებულმა აღნიშნულ მოქალაქეებს პასპორტები და ფული იმ მოტივით გამოართვა, რომ დოკუმენტებს ვიზის განაცხადის შესავსებად გამოიყენებდა, თუმცა თანხის მიღების შემდეგ შეთანხმება არ შეასრულა. ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების შედეგად, იგი უკანონოდ დაეუფლა ჯამში – 15 ათას 168 ლარს.

აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე ს.ფ.-ს, რომელიც სამართალდამცავ ორგანოში გამოცხადებას თავს არიდებდა, საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (დიდი ოდენობით თაღლითობა), ბრალი დაუსწრებლად წარედგინა, ხოლო სასამართლოს მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა. სამართალდამცველებმა ქალი ბრალდებულის სახით დააკავეს და პენიტენციურ დაწესებულებაში გადაიყვანეს.

გარდა აღნიშნული ფაქტისა, გამოძიებით დადგინდა, რომ ს.ფ.-მ, 2021 წელს, თაღლითობის კიდევ რამდენიმე ფაქტი ჩაიდინა, რომლებზეც გამოძიებას აწარმოებს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველო, ძველი თბილისის მთავარი სამმართველო და სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ზუგდიდის რაიონული სამმართველო.

თაღლითობის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლით გრძელდება.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.